

ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთობის გიურის სიმბოლი  
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

832

1951

ესოცი

დროშა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 10

გარები

ს ი ქ ი ბ ი ბ ი ბ ი

Paris.

1951

**ମୁହୂ ୧୯୬୫ ମେସର୍ସ୍**

મનો દર્શાવાડા.

თუ წინეთ მსოფლიოს ჩამოყალიბება ორ მოპირდაციერ  
ბანაკათ იყო ხადათ, ახლა ეს ნათელი და აშენდა. ერთი ბანა-  
კის ძირითადი დებულებაა; თავისუფლება ხალხის და ერის,  
ამას მეთაურობს პრეზიდენტი ტრუმანი; მეორის ძირითადი  
დებულებაა დამორჩილება ხალხის და ერის, დესპოტია. ამას  
მეთაურობს სტალინი.

პირველი მოძღვრება არის თანამედროვე ხანის, დასკვნა მსოფლიო ცივილიზაციის, ის გადამტულია განუყრელათ ქა- ცობრიობის განვითარების უკანასკნელ საფეხურთან. გაგრძელება მისი ისტორიული მსელელობის. შეორეს დროშა არის განმეორება ძველი დროშის, აფრიკალებული მონგოლების მეთაურთა მიერ, ჩინებისხანის, ლანგოზებურის, ატილას და მათი მიმდევრების. ისინი იქირობდნენ ხალხთა ძალით დამორჩილებით შეიძლება მათი სამოთხეში შევვნა. დაი- მორჩილეს მრავალი ხალხი, მაგრამ სამოთხის მაგიერ მათ მოგვცეს ჯოვანებთი. ისტორიის ამ საფეხურის დანგრევამ გაშალა გზა თავისუფალი განვითარების და წინმსვლელობის.

ამ ქამათ დგას იგივე საკითხი: ბოლშევიკიზმი დაანგრეულს ცივილიზაციის დღვევანდელ საფეხურს და მიგვიყვანს უკან, მონგოლთა ბატონობისაკენ, თუ დაინგრევა ეს ძველი ისტორიის განმეორება და ბურთი და მოყდანი დარჩება ასალ ისტორიას, ამ დაპირდაპირების დასაფარავათ მოსკოველებმა წემთაყენეს ორი წყობის ერთათ ყოფნა, ერთათ მსვლელობა.

რასკვირელია ორი სხვადასხვა წყობილების არსებობა შესაძლებელია, ეს იყო და არის ღლესაც. მაგრამ ამისათვის აუცილებელია ერთი საერთო ბაზა: ან ეკონომიკური, ან პოლიტიკური, სულიერი და მორალური, ნაციონალური. არც ერთი ეს მოვლენა არ აერთებს ღლეს დასავლეთს და აღმოსავლეთს. მათი არსებობის ხაზების შორის არავითარი საერთო ხაზი არ არის. ერთი, მოსკოვიადა, ჩაქეტილია თავის ტერიტორიაში, მას საზღვრავს გარდაუგალი რეინის ფარდა, მეორე კი პირიქით გალებული და გაშლილია, საიდუმლოვანით მოცული არაფერი აქვს. მმ კარჩაეტილობის მთავარი მიზანია დასავლეთისათვის დაეთარის აბნევა. სიტყვების რახარჯენით შავის თეთრათ გასაღება. ამ მიზნით თავის წყობას

უწოდებენ სოციალიზმს, ხალხურ დემოკრატიას—ნათლავენ ყველა თანამედროვეე სახელებით და ფრაზებით. ამ საშუალებით კრემლი ათავაშებს ექროპა-ამერიკის საზოგადო აზროვნებას, დროს იგებს ომისათვის მოსამზადებლათ, თავისი ნამდვილი სახის დასამალავათ და საბოლაო მიზნის საიდუმლოებით შესამოსავათ. ეს მისი მიზანია ერთი—მსოფლიოშე გაბატონება, მოსკოვის სატახტო ქალაქით გადაქცევა ყველა ქვეყნებისათვის.

ეს ხაზი დიდათ გაამაგრა ჩინეთის გაკომუნისტებამ, ოთხასი მილიონი მცხოვრების მოსკოვის კარებთან დახმეჭდამ. ამ მდგომარეობამ მოგვიცა გაუთავებელი კონფლიქტი კორეას ირგვლივ, კორეის საკითხის გადაუწყვეტილობა, და საომარი მდგომარეობის შეუჩერებლობა. ყველა ამ დავიდარაბას ხელმძღვანელობს მოსკოვი; ეს შედის კრემლის საგარეო პოლიტიკაში, თუმცა ამავე დროს ფარდას ეფარება და პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს.

მოხდა ერთი დიდი ფაქტი. ამერიკამ მიხვდა მოსკოვის ეს ფლიდი პოლიტიკა, კრემლის ეს გაუთავებელი თამაში და გადაუწყვიტა პირდაპირი კავშირი დაიკავოს რუსის ხალხთან, გამოყოს ის მართველობის პასუხისმგებლობიდან და ამცნოს მას, რომ ამერიკა მასან არის წინააღმდეგ მისი მტარვალებისა, კომუნისტების ხალმომრეობისა. ამ მიზნით ტრუმანმა მიმართა განსაკუთრებითი წერილით საბჭოთა თავმჯდომარეს ხალხისათვის გადასაცემათ. გარდა ამისა ამერიკაში აეწყო გადაცემა საბჭოთა ხალხებისათვის რადიოთი ანტი-კომუნისტური აზრების და ინფორმაციის. ამ ნაირათ, ამერათ დამონებული რუსეთის ხალხები გამოყოფილია დესპოტიისათვის პასუხისმგებლობისაგან და მთელი ამ ჭირის შეთაურათ გამოცხადებულია კრემლი და მისი პატრიონი—ბოლშევიკების პარტია. ხალხის განთავისუფლება ამ პარტიის ძალმომრეობისაგან დგას დღის წესრიგში, მოხდება ეს საგარეო ძალდატანებით თუ საშინაო გადატრიალებით, ეს არის ერთათერთი გამოსავალი, ხოლო რომ მოხდება—ეს უკვეელია, ამ დროისათვის უნდა იყოს მზათ ყველა პარტიული დაჯგუფება, ყველა ხალხთა მეთაურობა და მათ აღადგინონ საერთო ცხოვრება ხალხთა და ერთ თავისუფლების საფუძველზე.

6. ქ.

## შ ც ი ჩ ე მ ჟ მ ნ ი ფ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი

### დ ი ღ ა გ ბ ე ბ ჲ ე ბ ი.

ამ ნომერში პოლიტიკურ მიმომხილველის ამოცანა სა-  
გრძნობლათ გაადვილებულია: მოწინავეში ავტორის მიერ,  
ჩვეულებრივი ნიჭით, მოცემულია საერთაშორისო მდგრა-  
დების ნათელი სურათი.

ამ უკანასკნელში მკითხველი დაინახავს ორ მობირდაპი-  
რე ბლოკთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ხაზებს; და-  
ასკვნის იმასაც, რომ დასავლეთის ყველა საზოგადოებრივ  
წრეებში დღეს უკვე ნიადაგი გამოეცალა მოსკოვთან თანა-  
არსებობის ილიუზიებს; რომ ორივე ბანაქში მოზიცები  
ალებულია და მხოლოდ რეალურ ძალთა განწყობილებამ უნ-  
და გადასწყვიტოს კაცობრიობის ბეჭი.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მოსკოვთან შე-  
თანხმების დამცველთა უკანასკნელი ბასტიონიც დაეცა; ვი-  
ნაიდან სოციალისტურ-ინტერნაციონალმაც დაჰყარა იარა-  
ღი და მასშიდაც გავქრა კრემლთან საერთო ენის გამონახვის  
იმედი \*).

ჩვენთვისაც ისე, როგორც ეს მოწინავეშია ნათესავი, ამ  
გიგანტურ ჭიდოლში მოსკოვის საბოლოო დამარცხება გვის  
არ იწყევს; მაგრამ მიმომხილველის როლი სურათის საერთო  
ჩარჩოების ჩამოსხმით არ განისაზღვრება; მან მდგრადიობის  
ცალკე ფაზებს უნდა გაუწიოს ანგარიში, მოვლენებს ფეხდა-  
ფეხ მისდომს; შესაძლებელი სისწორით წარმოიდგინოს მიმ-  
დინარე პროცესის ტემპი და დაინახოს, ანტიმოსკოურ ძალ-  
თა გზაზე მდგრამი დაბრკოლებანი; ერთი სიტყვით, გაითვა-  
ლისწინოს საერთო სურათის მეორე მხარეც.

აქ არის წყარო იმ გარეგნულ წინააღმდეგობისა, რომე-  
ლიც «ჩვენ დორშა». ს მკითხველმა, შესაძლოა, აღმოაჩინს  
მოწინავის და ჩვენ შორის.

დასავლეთის ბლოკს ატლანტიკის პაქტმა ჩაუყარა სა-  
ძირებელი. აუსარებელი დრო და შრომა გაწეული მის გასამ-  
ტკიცებლათ; მიუხედავათ ამისა ატლანტიკა დღესაც არ წარ-  
მოადგენს ერთი მიზნით და ნებისყოფით შედებულებულ ოჯახს;  
ძველი ქიშპი, ინტერესთა წინააღმდეგობა, ამბიციები და ამ-  
ასთან დაკავშირებული მოქმედების მეთოდები ხელს უშ-

\* ამაზე დაწერილებით იხილე ამავე ნომერში კ. გვარჯა-  
ლაძის წერილი: «სოციალისტური ინტერნაციონალი».

ლიან დასაცლეთის გამთლიანებას; ტრადიციულ დიპლომა-ტიამ თითქოს დრო მოქამა და გაპქრა; მაგრამ მოქავშირეთა ურთიერთობაში ის კიდევ დარჩა.

სპარსეთის მაგალითი ზემონათქვამის საუკეთესო მაგალითია. ამ კუთხის შემთხვევაში წარმოსადგენათ საჭმარისია გეოგრაფიულ რუქის თვალის გადავლება: რუქეთისათვის სპარსეთი მცირე აზიის კარია; თუ მან ეს შეხეთქა ამით დაეპატრონება ერთად ერთ ხმელეთის გზას, რომელსაც მიყვა-ვართ სუეცამდე და აქედან კიდევ უფრო შორს, ჩრდილო-აფ-რიკამდე; ამავე დროს სპარსეთის ნაეთს მესამე ადგილი უჭი-რავს მთელ სამყაროში. განსაციიფრებელია მოქავშირეთა, თუ მეტი არა, გაუფრთხილებლობა ამ სათუთ პუნქტის დაც-ვაში; სწორედ აქ მოუვიდა ანგლო-საქსონებს დიდი მარცხი, რომელმაც, შესაძლოა, კატასტროფიული ხასიათიც მიიღოს. მიზეზი? ურთიერთ შორის ქიშპი: ირანის ნავთი ომის შემდეგ ირ დიდ ტრესტთა ბრძოლის საგანი გახდა; ნავთის ტრესტე-ბი სახელმწიფოა სახელმწიფოში; საკუთარი დიპლომატია, პოლიკია, შპიონაჟი, კორუპცია. ეს ყოველივე მათი ატრი-ბუტებია; ირანში ბრძოლამ დაუზიგველი ფორმები მიიღო; გათავდა ეს მით, რომ სპარსეთის მთავრობაშ ნავთის მთელი წარმოების ნაციონალიზაცია გამოაცხადა; შეხლა-შემოხლა-ში აიშალა ძალები, შიგ შემოიკრა სარწმუნოებრივი ფანა-ტიზმი, უცხოელებისადმი სიმძლვარე და კომუნისტური დემაგოგია; ინგლისის მთავრობამ იჯიურა; მან ორი თვით დააგვიანა ნავთის ნაციონალიზაციის ცნობა, არც სპარსეთის მთავრობა იხევს უკან; მას ეს არც შეუძლია და ამ გვარად, შესაძლოა, სპარსეთში ჩინეთის ამბავი განმეორდეს.

ჩენ აქ სპარსეთის შემთხვევა, მთელი სერიიდან, მხო-ლოდ საილუსტრაციო მოვიყვანეთ, საერთო სურათი ისე-თია, რომ დღესდღეობით არ შეგვიძლია მოქავშირეთა მთლი-ანობა რეალობათ ჩაეთვალოთ: სადაც ამ შეხეთქა შეუზღვის საკითხი; დღესაც გადაუწიყვერელია ოსმალეთ-საბერძნეთის ატლანტიკის პაქტში შეყვანა; ისპანიასთან ამერიკა იძულე-ბულია სეპარატიული კავშირი ეძიოს და სხვა.

სწორედ ამით არის გამოწვეული შემოდგომის ციებ-ცხელებიანი სეზონი: ამერიკა ცდილობს დაკარგული დრო აინაზღაუროს. სან ფრანცისკო, ოტავა (კანადა), ვაშინგტონი, რომი, ყველა ამ კონფერენციებს—ერთი თვის მანძილზე— ევალება მდგომარეობის აღდგენა და ინიციატივის ხელში აღება.

გაზაფხულის საერთო დაშოშმინების მოლოდინი არ გა-მართლდა; მარკ არტურის გადაყენება, მალიკის მოწოდება,

კორექიაში ბრძოლის შეჩერება ძნელათ ეგუებიან დღევანდელ ფაცა-ფუცს; უცემელია, რომ საერთო ომის შანსი გაიზარდა; უდავოთ რჩება, რომ ორივე მხარე ამას გაურბის; მაგრამ ისეც ხომ უდავოა, რომ ადგილობრივი კონფლიქტი ისე გა-ლრმავდა და გაიზარდა, რომ საერთო ომამდე ერთი ნაბიჯი დარჩა.

სან-ფრანცისკოს კონფერენციას იაპონია-ამერიკის გაე-შირი მოყვება; რასაც წმინდა სამხედრო მიზანი აქვს დასახუ-ლი; გაშინგრუნი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ილიუზიებს არ ეძღვება; მან ჩვენს უფრო კარგაზ იცის, რომ გუშინდელ მტერთან კავშირი მას ადამიანთა მასალას არ შემატებს; პო-ლიტიკურათ, ნივთიერათ და სულიერათაც განალგურებული იაპონია დღეს დღეობით ცუდი მოძაფშირეა; მაგრამ ამერიკამ ისტარული გაიმეორა ის, რაც მოსკოვმა აღმოსავლეთ გერ-მანიაში ჩიდინა: მოკავშირის სახით მან იაპონია სახმელეთო, საპატიო და საზღვაო ბაზათ გაიზადა; ის იქ რჩება მთელი თა-ვის სამხედრო პოტენციალით და სარგებლობს მოკავშირის პოტენციალითაც. თუ არ ვცდებით, «ცივი ომი»-ს პერიოდში ეს პირველი შემთხვევა ინიციატივის ამერიკის ხელში გადა-სვლისა. უბრალო სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სან-ფრანცისკოს მანიოერი არ არის მოყლებული სიციადეს და ამავე დროს ის მოწმობს მის მდლავე გაქანებას. მომავალი დაგვანახებს, შესძლებს თუ არა ატლანტიკის დიდი რესპუ-ბლიკა ინიციატივის ბოლომდე შენარჩუნებას...

სრულიად ბუნებრივია, საერთაშორისო კრიზისის გამ-წვავებასთან დაკავშირებით ყველა ერთა ემიგრაციის ამო-ძრავება. ასეთ დროს ჩეულებრივი ემიგრანტული სინამდებ-ლე ფერის იცვლის; პირადი, თუ ჯგუფური ჯაზი აღილს უთ-მობს პასუხისმგებლობის გრძნობას; ცოტხალი საქმის მოლლ-დინი სწორენს ემიგრანტულ ჭაობს, აჯანსაღებს სულს, ალვი-ძებს ყოველდღიურ ჭირ-ვარამით მოტუნებულ ძაღუბს და ქმნის დარღვეულ მთლიანობის აღსაღენ ატმოსფერას. ასე-თია ცხოვრების კანონი; ემიგრაცია, რომელიც ამას არ ემო-რჩიობა, არ ასრულებს ვალს თავის და თავის ქვეყნის წინაშე.

საგულისხმოა, რომ ამ უამათ ყველა სხვებს რუსის ემი-გრაცია აძლევს გამოღვიძების მაგალითს; დღემდე ეს უჩვეუ-ლო ამბავია; დღემდე ამ წრეების საქმიანობა ერთმანეთ შო-რის უურნალ-განხეთებში გაუთავებელ პოლემიკით განისა-ზღვრებოდა; ეხლა კი გამართითინებელი კონფერენცია ფიუ-სენში, მიუნხენში, შტუტგარში... ; წარმოიდგინეთ რომ, რუსს ემიგრანტების ამოძრავებამ მსოფლიო პრესაშიდაც დიდი გამოძახილი ჰპოვა.

ქართველი პოლიტიკური ემიგრაცია დღესაც არ არის გაერთიანებული. ესეც არაწვეულებრივი ამბავია: ჩვენ წარ-

სულს ეს არ ეგუება; განსაკუთრებით გაუმართლებელია მსგავსი დაუდევობა დღევანდველ დღეს, ქარიშხალის მოლოდინში. ახალი ომი საქართველოს რას უქადის ჩენების ნათლად კვაჭვს წარმოდგენილი. არც ერთი შეგნებული ქართველი მომავალი საერთო შეჯახების მოტრფიალე ვერ იქნება; მეტს ვიტყვით: ჩენენდათავად, საქართველოს განთავისუფლების საფასურად მესამე დიდ ომს არ ვისურევებდით. მაგრამ ჩენებინ რას გვყითხავს? იმდენი ასაფეთქებელი მასალა ქვეყნად დაგროვილი, რომ ეს უბედურება, შესაძლოა, სწორედ მაშინ დატყდეს კაცობრიობას, როცა ამას არავინ არ მოელის.

გაიგლის დრო და ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის შემატიანე განციფრებით აღნიშვნავს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის ასეთ კრიტიკულ მომენტში ქართველობა უცხოეთში დაშლილობის უმწეო სურათს წარმოადგენდა.

როცა უცხოეთის ქართველობაზე ვლაპარაკობთ, პარიზი გვყავს სახეში. საბერინიეროთ, პარიზის სენი სხვაგან, ჩვენ მემულეთ, ყველგან არ მოდებია. ამერიკაში ჩვენ თანამემამულეთა ერთსულოვანობამ დიდი ნაყოფი გამოიღო: აჩესონის 26 მაისის გამოსვლა; ვიცით ისიც, რომ პარიზიდან ამ ერთსულოვანობის დარღვევის ცდამ დღემდინ, ყოველ შემთხვევაში, მიზანს ვერ მიაღწია; სამართლიანობა მოითხოვს აღნიშვნას მიუწენებში ქართველობის, მიუხედავათ ყოვლისა, შეწყობილ საქმიანობას.

დროა ბოლო მოელოს პარიზშიდაც უპასუხისმგებლი მოქმედებას. ნუ გავამარტივებთ საკითხს და ნუ გიტყვით, რომ ბრალი მხოლოდ გამთიშველთა თითო ოროლა პირებს ედებათ; გამთიშველები მუდამ იყო და იქნება; ემიგრანტული ცხოვრების სიდუშტირე ამისათვის საუკეთესო ნიადაგი; ჩვენ ხომ უცხოეთში გადმოყინილი არა ვართ? უცხო ძალამ ამოგვივა მშობლიურ მიწიდან და სხვის ქვეყანაში გადმოგყარა. განა გასაკეირალია თუ 30 წლის ტანჯვამ ძევლი თაობა დაშალა და დაანგრია? ახალი თაობა კი საქართველოს დამის ახლო წარსულს მხოლოდ გადმოცემით იცნობს. გადმოცემების ფასი კი ჩვენ მწარე გამოცდილებით ვიცით; ყველა ქვეყნის და ეპოქის ემიგრაცია დახსოვებით ერთი და იგივეა; გასულ საუკუნეში დიდი მიკუვეინი პოლონეთის ემიგრაციის ატმოსფერაში მოიწამლა. ნუგებათ ნუ ჩავთვლით, თუ ვიტყვით, რომ აქობამდე ქართველი ემიგრაციასხვებისას სჯობდა.

ამა წლის 28 იანვარის და შ სექტემბრის მოავალრიცხოვანი კრებები, იქ გამართული კამათი უტყუარათ მოწმობენ ქართველ ემიგრაციის ცხრამეათედის ჯანსაღობას; მას მხოლოდ ხელმძღვანელობა აკლია. ეს უკანასკნელი დაუყონებლივ უნდა გასწორდეს, მოვლენები არ იცდიან. ისედაც დავიგვიანეთ. მაგრამ, სჯობს დაგვიანებით, ვიდრე არასოდეს.

ა. ბებიშვილი.

## 4. პილიტიკა და ეკონომიკა.

ახლანდელი ეკონომიკური წესწყობილება ეითარდებოდა და იმან განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია პრო-  
 ტიკურ თავისუფლების პირობებში. ქვეყნები ერთი მეორეს  
 უახლოვდებოდენ საქმიან ნიადაგზე, შრეწველობა ქალაგიდან  
 ქალაქში გადაიოდა და ერთი კუთხიდან მეორეში თავისუ-  
 ფლად ვრცელდებოდა. სიმღიდოს ზრდას—თუმცა იგი უმ-  
 ცირესობის ხელში გროვდებოდა—თან აქლა ხალხთა ეკო-  
 ნომიურ მდგრადობის საერთო გაუმჯობესება და ქონებისა  
 და შრომის ქვეყნებს შორის—თუმცა არა თანასწორად—გადა-  
 ნაშილება.

ამ გარემოებას ის დიდი დადგებითი მოვლენა ახასიათებ-  
 და, რომ იქ, სადაც მრეწველობა ეითარდებოდა, საზოგადოე-  
 ბაში ცოდნა და განათლება, როგორც საზოგადო, ისე ტექნი-  
 კური, ვრცელდებოდა და ხალხის მონაწილეობა ქვეყნის მარ-  
 თვა-გამგეობაში მატულობდა. მოქალაქეთა თავისუფლებას  
 და თანამედროვე დემოკრატიულ დაწესებულებებათა შემოღე-  
 ბას თვით ეკონომიკურ ცხოვრების განვითარების პირობები  
 მოითხოვდა. დიდი-ბრიტანეთის და საფრანგეთის, გერმანიის  
 და ბელგიის, შეეიცავის, პოლანდიის, სკანდინავიის ქვეყნე-  
 ბის ეკონომიურ კეთილდღეობა ძეველ ეკროპაში, ხოლო შე-  
 ერთებულ შტატების და კანადის ახალ კონტინენტზე, ამ ნია-  
 დავწე—პოლიტიკურ თავისუფლების და პოლიტიკურ დემო-  
 კრატიის განვითარების ნიადაგზე—აშენდა. წინააღმდეგ, რუ-  
 სეთში და საზოგადო აღმოსავალე ეკროპის ქვეყნებში, აზი-  
 აში და აფრიკაში, სადაც ეკონომიკურ ცხოვრების პროგრესი  
 ნელის ნაბიჯით მიმღინარეობდა, პოლიტიკური ცხოვრებაც  
 გაუკითხებელი დარჩა.

ამ ეპოქის ნიშნობლივი თვისება ისიც იყო—და ეს იყო  
 იმის უახლოებითი მხარე—რომ «მწარმოებელი» ანუ, უკეთ  
 რომ ესთქვათ, წარმოების პატ რონი, საზოგადოების  
 უმცირესობას რომ წარმოადგენდა. გახდა საზოგადოების  
 ეკონომიკურ ცხოვრების მესავეური და ამ ცხოვრების ზღვაში  
 შეცურავდული ხომალდის მესაჭურვა მან აიღო ხელში. მის  
 გავლენის ქვე ვითარდებოდა და მისი ინტერესების ბეჭედი  
 აჯდა თითქმის ყველაფერს, რაც საზოგადოების ეკონომიკურ  
 ურთიერთობას ახასიათებდა: მუშავდებოდა მისთვის სასარ-  
 გებლო წესები წარმოების და ალებ-მიცემობის, იწერებოდა  
 ამის შესაფერისი კანონები, ეწყობოდა მრეწველთა ნაციონა-  
 ლური და ინტერნ. შეთანხმებები, ტრესტები და სინდიკატები.

ყოველივე ეს, ტექნიკის განსაკუთრებელ სისწრაფით  
 ზრდასთან ერთად, უდიდეს გავლენას ახდენდა სახელმწიფოს  
 შინაურ პოლიტიკაზე და საერთაშორისო ურთიერთობაშიც  
 ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ბურჟუაზიულ სა-

ხელმწიფომ პოლიტიკა ეკონომიკას დაუმორჩილა, პირველი პირულის სამსახურში ჩააყენა და ეს არც უნაყოფო ყოფილა მისთვის: ბურჯუაზიულ წესწყობილებამ ამ გზით თავის განვითარების აპოგეას მიაღწია.

პატარა ეკონომის ქვეყნებმა ამ პირობებში უდიდესი ადგილი დაიჭირეს მთელ მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეკონომის სახელმწიფოები (საბჭოთა კავშირის გამოკლებით) თავის ტერიტორიით 5.429.000 კვადრ. კილომეტრზე მეტს სივრცეს არ წარმოადგენენ და 374 მილიონ მცხოვრებით იყვნენ დასახლებული (1929 წ.); აზის (საბჭოთა კავშირის ჩათვლით) და აფრიკის ტერიტორიიები კი, ერთად აღებული, 70.858.000 კვადრ. კილომეტრს უდრის (თითქმის 13-ჯერ მეტს ეკონომისაზე) და მათი მოსახლეობა 1.200 მილიონ მცხოვრებს აღემატებოდა (სამჯერ მეტია ეკონომისაზე). ამავე დროს, საერთაშორისო აღებ-მიცემობა უდრიდა (1929 წ.), დიდი ეკონომიკურ კრიზისის დაწყებამდის): ეკონომის ქვეყნების 35.059 მილიონ ოქტობრ დოლარს და აზია-აფრიკის ერთად მხოლოდ 13.727 მილიონს, ესე იგი: მოსახლეობის ერთ სულზე იგი უშევდა, დაახლოებით, ეკონომიკის 94 დოლარს, ხოლო აზია-აფრიკის ქვეყნებში 11 დოლარს ანუ ოვაჯერ ნაკლებს (ნაციათა ლიგის, სტატისტიკურ ცნობების მიხედვით).

მართლია, როგორც ვსთქვი, არც საზოგადოების შიგნით, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის, და არც სახელმწიფოთა გადამა, საერთაშორისო მასშტაბით, სიმდიდრე თანასწორათ არ ყოფილა განაწილებული; მაგრამ იგივე პირობები, ეკონომის გამდიდრებას და მისი ეკონომიკური ცხოვრების განვითარებას ხელს რომ უწყობდა, იმავე დროს სოციალურ უსამართლოების და უთანასწორობის მოსპობა-საც ნიადაგს უშებადებდა. ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარება და მშრომელის ექსპლოატაციიდან განთავისუფლების-თვის ბრძოლა წარმოიშავა თვით თანამედროვე წარმოების განვითარების პირობებით და ვინ იტყვის, რომ ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში დიდათ არ გაუმჯობესებულიყო ყოველგან საზოგადოების ფართო წრეების ეკონომიკური, ჯულტურული, უფლებრივი და სოციალური მდგრადება? ის, რაც დღეს ხდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, აუცილებელი განვითარება იმის, რაც დღემდის იქ მოხდა. თუ მეცხრამეტე საუკუნე უმთავრესად წარმოება-მრეწველობის განვითარების ხანა იყო, ჩვენი საუკუნის მორიგი ამოცანა გახდა ამ განვითარების ნიადაგზე აღმოცენებულ და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში გაბატონებულ უსამართლოების მოსპობა: ჩამორჩენილ ხალხების სამდროო ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა, მწარმოებლის მომხმარებლისთვის დამორჩილება და მშრომელის ექსპლოატაციიდან განთავისუფლება.

აյ მოულოდნელი არაფერი მომხდარა: დიდი ხანია მშრო-

მეტი ხალხი ამისთვის იბრძეის: და საზოგადოების მოწინავე ნაწილი მას ამაში მხარს უჭერს; დიღი ხანია არა მხოლოდ ფილანტროპები, არამედ მეცნიერები, ეკონომისტები და პოლიტიკოსები აუცილებლათ სთვლიან, თვით სახლში მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადრების გაუმჯობესებას; დღი ხანია პოეტიც, ხალხის გულის მესაიდუმლე, ამას ამტობდა თავის უზენაეს ნიჭის და ინტუიციის წყალობით:

«მრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი  
 «ძლევა-მოსილის ამ საუკუნის,  
 «კაცთა ლელვისა დიადი ზეირთი  
 «მაგ ახსნისთვის მედგრათა იბრძეის!»...

ამას ახლა ნათლად ხედავთ ყველა, ამის უარისყოფა შეუძლებელია; დადგა სოციალურ განვითარების ახალი ეპოქა და იმის ბოლბალი უკნ აღარ მოტრიალდება. ხოლო საქმე იმაშია, თუ რა გქით წავა იგი წინ, რა საშვალებებს აირჩევს ამისთვის კაცობრიობა?

რამდენათ ცოდნა და ტექნიკა ვითარდებოდა, იმდენათ ნაწარმოების რაოდენობა კვეყნათ მატულობდა; წინანდელი შიში, რომ ნაწარმოების ზრდა მოსახლეობის ზრდას ვერ გასწვდება, ახლა წარმოების განსაკუიკრებელ ზრდის და ზედმეტ ნაწარმოების დაგროვების შიშმა შესცვალა. ეროვნის ქვეყნებს, ამ ბოლო დროს, საფარეო ბაზრების გადიდების მაგიერ, იქ ასპარეზი უმცირდებოდა, როგორც თუ ძოვირი კონკურენტის—ამერიკის შეერთებულ შტატების და იმპერიის—ამ ასპარეზშე გაძლიერებით, ისე—და კიდევ უფრო— ადგილობრივ მრეწველობის აღორძინების გამო: ცოდნა და ტექნიკა შორეულ ქვეყნებსაც მისწერა, დღემდის ეკონომიკურათ ჩამორჩენილ ერგბაც ხელი მოყიდეს საქუთარ საშვალებებით თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მრეწველობის და აღებ-მიცემობის განვითარებას, გაუმჯობესებულ ტექნიკის შემოღებას.

ამიტომ ძველებურ წარმოდგენას ეკრობიელ მწარმოებელზე, ეკრობიელ კაპიტალისტზე, როგორც ყოველის შემძლებელ, და იმის ჰეგემონიას მსოფლიოში ნელ-ნელა ფრთხები ეკვიცებოდა. ყველა ხედავდა, რომ ამიერიდან იმდენათ ნაწარმოები არ იყო საძებარი, რამდენათ ნაწარმოების მყიდველი ანუ მომხმარებელი; ასებული ბაზრები ნაწარმოების ველაზი იტევდა, მწარმოებლის უკონტრ. ფართვაში საზღვარი დაედვა.

დემოკრატიის ზრდაც—საყოველთაო საარჩევნო უფლება და საზოგადოების ფართო წრეების გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზშე—ეკონომიკურ განვითარებას თან რომ მოყვა, საზღვრავდა წარმოების პატრონის გაფლენას საქვეყნო საქმეებზე და აძლიერებდა მომხმარებლისანუ საზოგადოების სულ ფართო სოციალურ წრეების გაფლენას ქვეყნის მართვა-გამგე-

ობაზე. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში და განსაკუთრებით ჩვენს დროში შემოლებული იქმნა საყოველთაო (უცენტო) საარჩევნო უფლება პარლამენტებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში, დაწესდა თავისუფლება სიტყვის, რწმენის და ასლ-ციაციების, გაადვილდა ქვეყნების შორის ურთიერთობა და ეკონომიურ განვითარების ზრდას თან მიყვა ზრდა პოლიტიკურ გავლენისა საქვეყნო საქმეებზე დღემდის უჩინარ წრე-ების. შესაძლებელი იყო ნაცტომები, ხდებოდა რევოლიუციები, მაგრამ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების ძალით გარდა მთნას, სანამ ამის პირობები არ მომწიფდებოდა, ე. ი. მარტოთ მარტო თეორეტიულ და იდეოლოგიურ მოსაზრებათა საფუძველზე, სერიოზულათ არავინ ფიქრობდა. არც მეცნიერება და არც ერთი გავლენიანი პოლიტიკური მიმღინარეობა ამას არ გულისხმობდა.

რუსეთის დიდი იმპერიაც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა, იგიც ამ გზას მიყვებოდა, თუმცა ნელის ნაბიჯით. რამდენათ იგი ვითარდებოდა ეკონომიურათ, იმდენათ იგიც პოლიტიკურათ წინ მიღიოდა: მოისპონ ბატონ-ყმობა, შემოლებულ იქმნა განათლებულ ქვეყნების მართლშესაჭულება, დაწესდა ქალაქის და სოფლის თვითმმართველობა, მოწვეული იქმნა პარლამენტი... დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით ეს პოლიტიკური ცვლილებები ძალიან უმნიშვნელო იყო, მაგრამ თვით რუსეთის და აზიის ქვეყნების ამ ასიწლის წარსულთან შედარებით ყოველივე ეს ისეთსავე პროგრესს წარმოადგენდა, როგორც რუსეთის ეკონომიური განვითარება ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის უნდა დაეგვირგვინებია რუსეთის იმპერიაში მობინადრე ერების ეკონომიურათ და პოლიტიკურათ თავისუფლათ განვითარების ფართო გზაზე გამოსვლა. მაგრამ ეს არ მოხდა. მეტად მძიმე და საბედისწერო გამოდგა პირველი დიდი ომის შედეგები რუსეთის იმპერიის დემოკრატიულ გზით განვითარებისთვის. სულ რამდენიმე თვეში აქ საზოგადოების უმცირესობა ძალით დაეპატრონა ხელისუფლებას და შემდეგ, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ისეთ პოლიტიკის წარმოებას შეუდგა იგი, სრულებით რომ არ შეეფერებოდა რუსეთის ეკონომიურ აგებულებას. ბოლშევიზმის უმთავრესი დამახასიათებელი მოვლენა ეს აზიის პოლიტიკის ეკონომიურ სინამდვილიდან ჩამოშორება და მთელი ეკონომიური ცხოვრების პოლიტიკისთვის დამორჩილება, უსასტიკეს ზომებით; ეკონომიურ ცხოვრების თავის პოლიტიკურ იდეოლოგიის თანახმად მოწყობა, რათაც ეს არ უნდა დაჯდეს. ამ ნიადაგზე აშენდა მათი მეთოდი ეკონომიურ გავლენის გავრცელების გარეშე ქვეყნებშედაც: ისინი ქვეყანას ჯერ პოლიტიკურათ იმორჩილებენ და შემდეგ იქ თავის ეკონომიურ სისტემას ძალდატანებით ახორციელებენ.

უკანასკნელ დიდი ომიდან საბჭოთა კავშირი გამარჯვე-

ბული გამოვიდა და მისი გავლენა საერთაშორისო საქმეებზე ძალიან გაიზარდა. საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ ახლა 700 მილიონზე მეტს მცხოვრებს ანგარიშობებს; შეუძლებელია, რომ მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ამ მესამედის ყოფა-ცხოვრებას, მათი სხვა ქვეყნებიდან გამიჯვნას და კარჩავე-ტილ ცხოვრებას, მათ მეთოდს საზოგადოებრივი ცხოვრების მოწევის რიგებისას თავისი გავლენა არ მოეხდინა კაციონიობის დანარჩენ ნაწილზე, სხვა ქვეყნების შინაურ ცხოვრებაზედაც.

თითქმის ყოველგან, სახელმწიფოს შიგნით, შინაური პოლიტიკური ბრძოლა გამწვავდა და პოლიტიკურ მიმართულებათა დაპირდაპირება ახლა უფრო სასტრიქ ხასიათს იღებს, ვინემ ღვდესმე. სახელმწიფოს როლი ყოველგან შეუფერებლათ იზრდება, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ტოტალიტარული რე-ჟიმი დამკვიდრდა, სახელმწიფო ხომ კერპათ არის გადაქცეული და მას ეწირება მსხვერპლათ ხალხის კეთილდღეობა, პიროვნების თავისუფლება და ადამიანის ლიტერატურული ცემა. აქ მოხდა გამრუდება სახელმწიფოს დანიშნულების და იმის აპარატი თავის დანიშნულებას ეწინააღმდეგება. სახელმწიფო ესაჭიროება საზოგადოებას, როგორც დამხმარე ძალა თავის ნივთიერ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, წესის და წესრიგის, კანონის და მოქალაქეთა უფლებების, როგორც საზოგადოების შიგნით, ისე იმის გარეშე მტრისაგან დასაცავათ: სახელმწიფო ესაჭიროება საზოგადოებას ადამიანის პიროვნულ თავისუფლების და მისი კეთილდღეობის განვითარებისთვის და არა ადამიანის დასამონებლათ და მოქალაქე დასაჩაგრავათ. ასეთი იყო გზა პროგრესის და ამ გზით ცდილობდა წინსკლას დღემდის კაციონიობა. ამ დანიშნულებას ემსახურება დღესაც დემოკრატიული წესწყობილება, მაგრამ მდგომარეობა გართულდა, როცა ამ გზაზე დემოკრატია წინ გადაელობა ტოტალიტარული რეჟიმი, თავისი განსაკუთრებული იდეოლოგიით და მოქმედების უცნაური მეთოდით.

ამ იდეოლოგიის და მოქმედების ამ მეთოდის ნიადაგზე ქვეყანა ორ მოწინააღმდეგებ ბანაკათ რომ დაირახმა და ეს გარემოება საფუძვლათ დაედგა შიშის ახალ მებისას. ეს შიში იკურობს ახლა საზოგადოების უმთავრეს ყურადღებას, პემნის დაუცემას მდგომარეობას, იწვევს საომარ სამხარისს და მოითხოვს აუკარებელ ხარჯებს. საზოგადოება, მთელი კაციონიობა ამ შიშით გამოწვეულ პილიტიკას ექვემდებარება. ხალხთა საერთო ეკონომიკურ ინტერესების პირველ პლანზე წამყენებას შეეძლო კაციონიობის გაერთიანება; პოლიტიკამ და პოლიტიკურ იდეოლოგიის სამსახურში ხალხის ეკონომიკური ინტერესების ჩაუყენებამ გათიშა და ერთი მეორის მოწინააღმდევე ბანაკებათ დარაჭმა იგი.

საერთაშორისო ურთიერთობის გართულებას ემატება მეტად მწვავე, დიდი შინაური საკითხები. ცხოვრებას უნდა

თავისი გაიტანოს: ცოდნა და ტექნიკა ვითარდება შეუმჩნევ-  
ლათ, ხალხი მუშაობს, წარმოება იზრდება. საზოგადოებრივი  
ცხოვრების ძველი ჩარჩოები ველაზ იტევს ცხოვრების ახალ  
მოთხოვნილებებს, რომელიც ყოველგან ახალ საკითხებს  
აყენებს, წარსულ ეპოქისთვის უცხოს და უჩვეულოს.

1. ასეთია, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, საკითხი  
კერძო საკუთრების. კერძო საკუთრების პრინციპი და მის  
საფუძველზე აშენებული ეკონომიკური ურთიერთობა სალე-  
თო კანონათ იყო აღიარებული წინანდელ თაობების მიერ,  
იგი ყველა დარგში ხელშეუხებელიათ იყო მიჩნეული, რო-  
გორც ჩვეულებით, ისე კანონმდებლობით. ჩვენს დროში ეს  
პრინციპი ირვევა, იგი ძალიან «შელახულია»; და არა იმი-  
ტომ, რომ მის წინააღმდეგ, სხვათა შორის, კომუნისტები  
ილაშქრებენ და ბევრჯერ უმართებულოთ, არამედ იმიტომ—  
და ეს არის უმთავრესი—რომ მისი მიზეზები უფრო ღრმა  
არის და ისინი ეკონომიკურ ცხოვრების აწინდელ განვითარე-  
ბის პირობებიდან გამომდინარებენ. საზოგადოებრივი ცხო-  
ვრების განვითარებამ ცხად ჰყო, რომ საწარმოვთ საშავე-  
ბათა კერძო საკუთრებაზე აშენებული ეკონომიკური ურთიერ-  
თობა ხშირად ველაზ აქმაყოფილებს საზოგადოების მოთხო-  
ვნილებას, იგი ხშირად უმცირესობის უმრავლესობაზე ძალ-  
მომრეობას ემყარება და ცხოვრების ნორმალურათ წინსელას  
აბრკოლებს. ეს გარემოება დიდი ხანია ყურადღებას იქვედა  
რჩეულთა—მწერალთა, ეკონომისტთა, პოლიტიკოსთა—მაგ-  
რამ უშესებებოთ. მხოლოდ საზოგადოების განვითარების და  
იმის ფართო წრების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლასთან  
ერთად ეს საკითხი გადაიქცა საჭირობორო საკითხათ და  
დღეს იგი მთელი სიგრძე-სიგანით საზოგადოებას წინ დაუდგა  
მოსაწესრიგებლათ. ამ საკითხს სწორად გაეგებას უდიდესი  
მნიშვნელობა აქვს იმის სამართლიან წესით და ჰუმანიურ სა-  
შვალებებით მოწესრიგებისთვის.

ძეველს, კერძო საკუთრების და ინდივიდუალურ მეურ-  
ნეობს პრინციპშე აშენებულ სახალხო მეურნეობას პირვე-  
ლი ლახვარი თვით კაპიტალისტური რეჟიმის განვითარებამ  
ჩაკრა: ანონიმურ (უსახელო) სააქციონერო საზოგადოებათა  
გამტავლება, პატრიონთა სინდიკატები და საერთაშორისო  
შეთანხმებები, ტრესტები და მონოპოლიები—ყველა ეს და  
სხვა ამ გვარი ზომები, შემოლებული კაპიტალისტურ წარ-  
მოების და აღებ-მიცემობის გასანვითარებლათ, ჩვენს თვალ-  
წინ, თანდათან და აშკარად სჩაგრავდა და უკანა პლანზე აყე-  
ნებდა კერძო ინდივიდუალურ მეურნეობას, პატრიონის მიერ  
უშუალოდ და პირდაპირ თავის საქმეების გაძლოლას. ამ ევო-  
ლიუციას საზოგადოება ნელ-ველა ეჩვეოდა და ძველი წარმო-  
დგენა მესაკუთრის განუსაზღვრელ უფლების შესახებ თავის  
საკუთრებაზე ისე, როგორც ინდივიდუალურ მეურნეობის  
როლი თანამედროვე წარმოებაში და აღებ-მიცემობაში, ფაქ-

ტურათ სუსტდებოდა. დლევანდველი კაპიტალისტი მრავალ სხვადასხვა საქმის მონაწილეა, ხოლო ისე, რომ არც ერთის იმათგანის სრული მესაკუთრე-პატრონი იგი არ არის: იგი აქციონერთა კოლექტიურ ნებას ემორჩილება. ეს ხდება ყოველგან, ცოტად თუ ბევრად განვითარებულ კაპიტალის-ტურ რეჟიმის პირობებში.

ამნაირად, თუ დემოკრატიის მისწრაფებების პრაქტიკულათ განხორციელებას თან მოყვა, სხვათა შორის, საზოგადოების თუ სახელმწიფოს ჩარევა სახალხო მეურნეობაში, კერძო მესაკუთრის შევიწროება და მეურნეობის ზოგიერთ დარგის კერძო მფლობელობიდან საზოგადოების თუ სახელმწიფოს ხელში გადასვლა, ეს აზ არის მოვლენა უცცარი, მოულოდნელათ თავზე დამტყდარი, Deus ex machina, ამის ნიადაგი თანადან მომხადა, ეკონომიურათ და ფსიქოლოგიურათ, იგი თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების წინსვლით არის გამოწვეული და ამ წინსვლას იგი უსათუოდ ხელსაც უწყობდა ერთხანს; მაგრამ ამავე დროს ეს ზომები, პირდაპირ თუ აზა პირდაპირ, ახალ გზებს უსახევდა საზოგადოებას, ახალ მიმართულებას ეკონომიურ ურთიერთობის სფეროში. მფლობელობის ეს ახალი ფრიდები, თორმები «საამხნავო» ანუ კოლექტიურ-საკუთრების, დემოკრატიამ უფროდაუფრო განაციონარა და იგი მას ახლა ლოლიკურ დასკვნამდის მიყაეს: იგი აფართოებს კოლექტიურ-საკუთრების ჩარჩოებს, —კოლექტიურ მესაკუთრეთ ხდება, ერთი ჯგუფის მაგიერ, მთელი საზოგადოება, თემი, ქალაქი, სახელმწიფო, —და მას ახალი შინაარსითაც აცხებს. დემოკრატია, სახელდობ დემოკრატია სოციალისტური, აღარ ერიდება კერძო საკუთრების ზოგიერთ დარგების, —სახელობ, წარმავების უმთავრეს საშაულებების, —შექლუფვას და იმის კერძო მესაკუთრეობიდან საზოგადოების ხელში გადაცემას სოციალიზაციის, ნაციონალიზაციის თუ მუნიციპალიზაციის სახით. საზოგადოებაც ახლა ნებისით თუ უნებლივეთ უფრო ადვილათ ურიგოდება ამას და იგი ეკონომიურ ურთიერთობის ახალ ნიადაგზე დგება. ეს გარემოება მოითხოვს შესაფერ პოლიტიკასაც.

ამ პოლიტიკას სხვადასხვანაირათ ახორციელებენ. საბჭოთა კავშირში, მაგალითად, ამას ახორციელებენ ძალდატანებით, აღამიანისთვის შეუფერებელ ზომებით და ფიქრობენ, რომ რეპრესიების და ტერორის საშვალებით შესაძლებელია სწრაფად დამკვიდრდეს ქვეყნათ კეთილდღეობა. დემოკრატიულ ქვეყნებში უთანხმოება ამ ნიადაგზე, როგორც სოციალურ ცხოვრების სხვა დარგებში, მშვიდობიან წესით რიგდება, საზოგადოებრივი აზრის მომხადებით, და შემდეგ შესაფერ კანონმდებლობის საშვალებით ტარდება ცხოვრებაში. სოციალური რევოლუცია აქ აბლა თითქმის უმტკიცნეულოთ ხდება. ინგლისში და საფრანგეთში, მაგალითად, სახალ-

ხო შეუჩენეობის თვალსაჩინო ნაწილი «გასაზოგადოებულია», ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის ხელში არის გადასული; ხოლო ეს მოხდა ისე, რომ ამისთვის კიხში არავინ ჩაუჯენიათ და ქვეყნის მოღალატეთ არავინ გამოუტადებიათ. თუმცა ამ ზომებს აქაც ყავდა სასტრიქი მოწინააღმდეგები. დემოკრატიულ ქვეყნებში უმრავლესობის მიერ მიღებულ კანონის წინაშე თავს იხრის ოპოზიცია. დარწმუნებული. რომ მიღებულ ზომების უმთავრესი მსჯარის დამდები თვით ცხოვრება არის და, თუ მდგომარეობა მ მოითხოვა, ოპოზიციას შეუძლია ხმა კვლავ აღიმაღლოს. რადგან აზრი და სიტყვა იქ თავისუფალია, და უმრავლესობა მიიმსხროს. მაგრამ საქმე სწორეთ ის არის. რომ ბევრ შემთხვევაში ოპოზიცია ჩამუნდდება, რომ დემოკრატიის ახლანდელი ყონიმიური პოლიტიკა გამოწვეულია ცხოვრების მოთხოვნილებით; ამიტომ იგი ამ ყონიმიურ პოლიტიკას ვერ ებრძების ყოველთვის პრინციპიაღურათ და მისი კრიტიკის მთელი გესლი უმთავრესად იმ საშეალებებს შეეხება, მიღებულ ზომების ცხოვრებაში გასატარებლათ რომ არის მიღებული, ესე იგი დეტალებს უფრო შეეხება, ვინემ პრინციპს.

ძნელია სოციალურ რეფორმების ცხოვრებაში გატარება, ხოლო კიდევ უფრო ძნელია ცხოვრებაში გატარებულ სოციალურ რეფორმების უკან წალება, როცა ეს რეფორმები ყვინომიურ აუკილებლობით არის გამოწვეული, საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებით არის ასულოდმულებული და ცხოვრების ახალს, მუდამ ზრდაში შეოთ მოთხოვნილებათა დაკამაყოფილებას ემსახურებოდა. ვინც ამ პირობების გარეშე ფიქრობს საზოგადოების სოციალურ-კუნძული სტრუქტურის გარდაქმნას, იგი იძულებული ხდება ძალდატანებას და ტერორს მიმართოს და ამ დანიშნულებით სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდებას, თუნდაც უმცირესობის მიერ. ამიტომ სახელმწიფოს, როგორც ზევით იყო ნათევამი, მათ კონცეპტუაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: იგი ყოვლის შემძლეა ყოველგვარ პირობებში...

2. სახელმწიფოს დიდს პოლიტიკურ-აღმინისტრატიულ ფუნქციებს ჩვენს დროში დიდი ეკონომიკური ფუნქციები ემატება, სახელმობა: სახელმწიფოს მიერ უშუალოდ წარმოების მოწყობა სულ სხვადასხვანირ დარგში, სახელმწიფო მრეწველობა და აღებ-მიცემობა. ამის შესახებ ჩვენ წინადაც გვეონია საუბარი და ნათევამს ნუდარ განვიმეორებთ. აյ აღნიშვნა გვინდა მხოლოდ ერთი თვალსაჩინო გარემოების, რომლის გამო, ბევრის აზრით, შესაძლებელია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობა საზოგადოების შემავიწროებელ პოლიტიკურ ფაქტორათ გადაიქცეს, მას ეკონომიკური შედეგები დადებითიც რომ მოყვეს. და აი რატომ.

თანამედროვე წარმოების და აღებ-მიცემლების წესი ძალიან გართულებულია; იგი მცოდნე ხალხს მოითხოვს, სპე-

მართლია, მოხელე-სცენიალისტების გავლენა (ბიუროკრატიული პარატი) უფრო ძლიერია ტრალიტარულ სახელმწიფოებში, ვინემ დემოკრატიულში (დიქტატორები ჩშირად ველარ ერვინან მათ მიერვე შექმნილ ბიუროკრატიას), მაგრამ ტენდენცია მოხელეების გავლენის ზრდისა დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც ძალიან მატულობს. ამ უკანასკნელ გარემოებამ აფიქტებია ერთს ცნობილ ამერიკელ მწერალს (I. Burnham) ამ რამდენიმე წლის წინად გამოჯვეუნებულ წიგნში—და ამ წიგნშა მაშინ საერთო ყურალება მიიპყრო—ის აზრი განვითარებია, რომ კაპიტალიზმი კვდება, ხოლო მის მოადგილეთ მოდის არა კომუნიზმი და არც დემოკრატიული სოციალიზმი, არამედ «ინტერიორების» (გამგებების) რევილიონ. წიგნსაც მან ასეთი სახელი უწოდა: *Managerial Revolution* (კამპენიას რევოლუცია).

ძნელი დასაჯერებელია, რომ აკტორის წინააშაშრეტყველება ასრულდეს. თავისუფლება ადამიანის თანდაცოლილი მისწრაფებაა და შეუძლებელია საბოლოოდ იმან არ გაიმარჯოს ძალმომჩეობაზე, სულ ერთია თუ ვინ აწყობს შეთქმულებას ხალხის უფლებების წინააღმდეგ—საზოგადოების ჯგუფი, პოლიტიკური პარტია თუ სახელმწიფო აპარატი. მაგრა მზევით მოყვანილი აზრი ამერიკის კაპიტალისტურ და თავისუფალ პირობებში აღზრდილ მუქრლის მიერ წმოყვნებული, მაინც ძალიან დამახასიათებელია. ის, რასაც იგი ითვალისწინებს—მანქანის ვაბატონება წარმოებაში და ტექნიკის როლის გაზრდა ეკონომიკურ საქმიანობაში, ეკონომიკურ დანერგიაშის კუნრალიზაცია და იმის საშალებით ტექნიკუს გრე-

<sup>\*)</sup> გამოთარებილია ფრანგულად, ლეონ ბლიუმის წინასიტყვაობით, სახელწოდებით: L'Ere des Organisateurs (ორგანიზატორების ხანა). Edit. Calman-Levy. Paris.

ლექტის გავლენის გაძლიერება მართვა-გამგეობაში—განა ჩეკე-  
 ნი ღროის ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას არ წარმო-  
 დგენ?

რამდენათ სახელმწიფოს მიერ სამეურნეო საქმეების უშ-  
 უალოდ წაყვანის მიმართულება განცითარდება, იმდენათ მო-  
 ხელების გავლენა საზოგადოებაში გაძლიერდება. ამის წინა-  
 აღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია არა ზევიდან ნაკარნახევ ბი-  
 უროკრატიულ წესით, სადაც პოლიტიკური მოსაზრებანი  
 ხშირად უფრო მეტ როლს თამაშობდენ, ვინემ ეკონომიკური  
 ანგარიში, არამედ ხალხის მომზადებით, ხალხთან ერთად და  
 ხალხის საშეალებით ყოველდღიურ საქმეების მოწყობით,  
 ადმინისტრატიულ აპარატიდან დამოუკიდებლათ, მაგრამ  
 საზოგადოების ინტერესებში დამყარებულ კანონმდებლობის  
 ფარგლებში. ამ საშეალებას იძლევა ჩეკნ დროში მხოლოდ  
 დემოკრატიული წესი მართველობისა, შეიძლება ხელი, მაგ-  
 რამ უფრო უმტკიცნეულო წომებით, ვინემ სხვა რომელიმე  
 რეკიმით.

ასე, ახალმა დრომ, ჩეკენმა ეპოქამ, ეს ორი უდიდესი  
 მნიშვნელობის საკითხიც დაუყენა კაცობრიობას მოსაწესრი-  
 გებლათ: ა) ეკონომიკურ ურთიერთობის ახალ ფორმებში ჩა-  
 მოსხმა, სადაც ინდივიდუალური და კერძო მეურნეობა მრა-  
 ვალ დარგში საზოგადოებრივმა მეურნეობამ უნდა შესცვა-  
 ლოს (საკითხი უმთავრესად სოციალურ-ეკონომიკურ ხასია-  
 თის) და ბ) ეს უნდა მოხდეს ისე, რომ სახელმწიფო არ აცდეს  
 მისთვის მიჩნეულ დანიშნულებას, საზოგადოებას შერჩეს თა-  
 ვისუფლება და ადამიანის პიროვნება არ გახდეს სახელმწიფო  
 აპარატის განუსაზღვრელ ოპერის საგანი, რის ტენდენცია,  
 ბევრად თუ ცოტად, ყველგან ასეცებობს ახლა (საკითხი უმ-  
 თავრესად პოლიტიკური).

კაპიტალისტური წესწყობილება ძალიან შეირყა, მაგრამ  
 ამიტომ ყველაფერი, რაც კაპიტალისტურ წესწყობილებას  
 მოუცია წარსულში, არ არის დასამობი და დასავიწყარი.  
 მან მოგვცა, სხვათა შორის, დიდი გამოცდილება ისეთ ეკო-  
 ნომიკურ პოლიტიკის წარმოების, რაც მას დიდი ხნის განმავ-  
 ლობაში ამაგრებდა და ინახავდა. ეს გამოცდილება დემოკრა-  
 ტიამ უნდა გამოიყენოს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი  
 მთელ საზოგადოების, და არა კერძო ინტერესების. სამსა-  
 ხური უნდა ჩააყენოს და მის მიღწევას პუმანიურ საშეალე-  
 ბებით უნდა ეცადოს. უმთავრესი ცნება ამ გამოცდილების  
 არის: პოლიტიკა ეკონომიკას—ანუ ცხოვრების რეალურ მო-  
 თხოვნილებს—უნდა დაემორჩილოს და მას უნდა ემსახუ-  
 რებოდეს და არა განყენებულ დოქტრინებს და ხალხის ამ  
 დოქტრინების ნიადაგზე ძალდატანებით, ადამიანის დამამცი-  
 რებელ წომებით, ცეცხლით და მახვილით დაყენებას.

პ. პ.



## რუსულ ეპიზოდი ციტიზი.

ცნობილია რომ ყველაზე მრავალ რიცხვები ემიგრაცია უცხოეთში ყავს რუსებს. ეს ემიგრაცია ისე, როგორც სხვა ერის ემიგრაცია, დანაწილებულია პარტიებათ და ჯუფებათ—დაწყებული მონარქისტებიდან გათავებული სოციალისტებით. ეს ჯგუფები და პარტიები ისე ებრძვიან ერთმანეთს, როგორც სხვა ერის ემიგრაციაში, მაგრამ ერთ საკითხში, თითქმის ყველა, მანიც ერთი აზრის არიან. ესა საკითხი ერთ-ერთში. რუსეთის ერთიანობა, მისი ყოფილი ტერიტორიის მთლიანობა—ყველას მიერ უდაოთ აღიარებულია. მართალია, ეს მთლიანობა მემარჯვენერთ წარმოდგენილი აქვთ მონარქიის სახით, მემარცხენერ—უფდერაციის, მარა ერთი და მთელი მანიც საერთო დებულებათ აზრის გამოცხადებული.

ამ ემიგრაციის გვერდით, პარალელურათ, ასებობს იმ ერების ემიგრაცია, რომელიც ჩინეთ მომწყველეული იყვნენ რუსეთის იმპერიის ფარგლებში. აქაც არის პარტიები და ჯგუფები, შეხლა-შემოხლა, მარა ერთში აქაც ყველანი ერთი აზრის არიან. ესა იგვევ ეროვნული საკითხი. ყველა ესენი იბრძვიან და მუშაობენ თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსაფენათ თუ მოსაპოებლათ. ამ რიგათ, ერთი ქვეყნის და ერთი და იმავე ერებიმის მიერ გამოდევნილი ემიგრაცია ისე მყარათ იყოფა ამ ეროვნულ ხაზზე, რომ მიუხედავათ ზოგი პარტიული პროგრამის ერთიანი იგივევობისა, დღემდის არ მოხერხდა ერთი საერთო სახელმძღვანელო არგანოს დაარსება. და არ მოხერხდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ რუსის ემიგრაცია იცავს რუსეთის მთლიანობას და არ ცნობს ერების დამოუკიდებლობას, ხოლო ერების ემიგრაცია უარს ყოფს ამ მთლიანობას და იცავს დამოუკიდებლობას. ამ ნიადაგზე დავა და შეხლა-შემოხლა გრძელდება 30 წელიწადია.

ამ უკანასკნელ დროს ამ დავაში შემოიჭრა მესამე ელე-მენტი. ესა საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც ასე მყარინოთ, ასე მყარათ და ასე აშკარათ უპირდპირ-დება საბჭოთა-რეჟიმს. შეიქმნა მდგომარეობა, როცა ან უნდა მოხდეს საბჭოთა რეჟიმის დიდი ხნით სტაბილიზაცია, ანდა დაემხოს იგი. და აი, ამ გადამწყვეტ მომენტში, რუსის ემი-გრაციის უფრო პასუხისმგებელი ჯგუფები თითქოს გრძელი მოდიან და გამყოფ სადაო საკითხს მისალებ დებულებას აძლევენ. ესა აღიარება ერთა თვითგამორკვევის უფლების. თვითეულმა ერმა საყოველთაო ხმის მიცემით, თავისუფლების ყოველგვარი გარანტიის დაცვით, უნდა გამოარკვიოს რა სურს მას—დამოუკიდებლობა თუ რუსეთის ფარგლებში დარჩენა. ეს პროცედურა კი უნდა ჩატარდეს ერთა ლიგის ოფიციალური წარმომადგენელის ხელმძღვანელობით.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ რუსის ემიგრაციის ასეთ დიდ და მნიშვნელოვან ნაბიჯს. ეს მართლაც რომ დიდი

წარმატება და მას, ეჭვი არა, შესაფერი გაცლენა ექნება ყველა ერთის პოლიტიკურ მუშაობაზე და ურთიერთ კავშირის მოგვარებაზე. ყველა ერთის ემიგრაციის გაერთიანებას კი შეუძლია დიდი როლი ითამაშოს როგორც კომუნისტური რეების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე იმ მდგრამარეობის შექმნაში. რომელიც უნდა დამყარდეს საბჭოთა რეების აცემის შემდეგ. ამ მომავალი რეების საკითხში პატრა ერები მეტად არინტერესებულია, რადგან მათ არ შეუძლიათ დამშვიდებული იყვნენ, თუ რუსეთში დამკიტრდა ისეთი რეები, რომელიც მიზნათ დაისახავს რუსეთის მთლიანობის ხელახლა აღდგენას. შეიძლება გადატრიათ ითქვას. რომ ყოველივე ცდა ამ მხრივ გამოიწვევდა უდიდეს შესლა-შემოსას ეროვნებათა შორის, რომლის აცილება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული საკითხის წინდაწინ დადგებითად გადაჭრით. როგორც სხანს, რუსის ემიგრაციაშ უკვე შეიგნო ეს და კიდევაც დადგა ამ გზას.

აქ ჩენენ ვკინდა. ალენიშვილთ მხოლოდ შემდეგი: ამ საერთო დებულებიდან გამოყოფილი უნდა იქნეს საქართველოს საკითხი არ გავს არც ერთ სხვა ერთს სკოტს. საქართველო იყო რესპუბლიკა ცნობილი და აღიარებული ყველას მიერ. ის იცნო თვით საბჭოთა რჯესთმა. მან შექმნა სახელმწიფო ყველა თავის ატრიბუტებით. გაატარა უდიდესი აგრძარული რეფორმა, შეიმუშავა კანსტიტუცია, მოახდინა დამტკ. კრების არჩევნები ყველაზე უფრო დემოკრატიული საარჩევნო წესით, ყავდა ელჩი უცხო სახელმწიფო ეტაპთან და სხვ. და სხვ. ასე რომ მან უკეთ გამოარჩევა თავის თავი და გამოარჩევა დამოუკიდებლობის სასარგებლოთ ერთხმად. მართალია ისიც დაუცა, მარა დაუცა არა შინაგანი გადატრიალებით როგორც სხვები, არამედ იქმნა დაპყრობილი. ამიტომ მისი საკითხი არის არა ეროვნული—გამოსარჩევები და საცნობი, არამედ საკითხი თკუპალის მოხსენის, უცხო ჯარების გაყვანის. რასაც თავისთვალი მოჰყვება მისი სახელმწიფო ბრიტი ალდენა.

გვაძეს საბუთი განვაცხადოთ ომ საქართველოს ეს განსაკუთრებული მდგრამარეობა კარგათ ესმის ემიგრაციის ზოგ მემარცხენე ნაწილს და თუ ამას დაუმატებთ რომ ამ ბოლო დროს ეს განსაკუთრებული მდგრამარეობა იცნონ და საჯარო-თალიარა («ცოტჩოოფენიი» № 15) მემარჯვენე დაჯგუფების ისეთმა მეთაურმა, როგორიც არის მელგუბეოვი—უნდა ვიუიქროთ ომშე შეკვება გახდება საერთო ოუზის ცყვლა ემიგრაციისათვის. ეს კი საშეალებას მისცემს ქართველ ემიგრაციის მათთან ერთად საერთო ძალლინით ხელი შეუწყონ იმ რეეიმის დასამარებას. რომელმაც ამდენი უბრძღვება დაატევა თავს რუსეთში შემავალ ყველა ერებს.

86. ॥ରୂପାଶମି॥

... 0 6 0 3 ე რ თ მ დ ა ზ ე !

უცხოეთში გაფრთხევეშილი ქართველი, რომელიც საკუთარ სამშობლოს უბედურებაზე ფიქრობს, არ შეიძლება არ ხედადეს ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის შოლიან მუშაობის საჭიროებას, ერთ სამოქმედო ხაზზე დარჩიმვას.

სწორედ, რომ დღიდან მისი არსებობისა ამის მიუცილებლობას ამტკიცებს ყველა, რამდენი თაბახი ქალალდი დაიხარჯა, რამდენი მხურვალე სიტყვებით მოწოდებანი გამოიყა, მაგრამ საერთო სურვილი განუხორციელებელი დარჩა, სიტყვა საქმეთ ვერ იქცა, რეალური გამოხატულება ვერ პოვა. რატომ ასე ძნელი განდა ყველასგან მიჩნეულ საჭიროების განალდება?... იმ თავითვე იქნა შეცდომა დაშვებული, — სამშობლოში არსებულ პარტიათა შორის დავისა — დაჯახების აქ გადმოტანა, წარსულის დაფასების მიზნით ურთიერთ ცოდვათა ქექვა, ქირდვა, განიავება, თავდასხმა. ამან დაასუსტა ეროვნული ოჯახი, დაქსაქსა ძალები, დაგვაშორა მეგობრები, მაშინ როდესაც ამ ერთი ოჯახის ენერგია, წერით, სიტყვით თუ სხვა საშუალებებით საერთო მტრის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული...

ამ დავის მანძილზე თანდათან მივიწყებულ იქნა, პირველ ხახებში უდავოთ აღიარებული ვითარება, დაპყრობილ ერის მიერ ნაჩენებ გზიდან გადახვევა და ბილიკებზე სიარულით შინა მართველობის საკითხის წინ წამოყენება.

რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთაგან საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულია, მისი განმათავისუფლებელ ბრძოლის ხასიათიც რამოდენიმედ განსხვავებულია. ჩვენი ერის სუვერენული უფლება ცნობილია მსოფლიოს მიერ. იგი მხოლოდ უცხო ძალის მიერ ფეხ-ქვეშ გათელილი უცდის აღდგენას, სამართლიან მოთხოვნილების დაქმაოფილებას. ამ უფლების დამცველი უცხოეთის წინაშე — ერის მიერ ნდობით აღჭურვილი, სუვერენობის მატარებელი ორგანოა, იგი მოწოდებულია არც ერთი შესაფერისი შემთხვევა ხელიდან არ გაუშეს და ქვეყნიერებას მოაგრძნოს ამ მოპოებულ უფლების არსებობა. ღროთა სიხანგრძლივე ვერ მოშლის უცხო ძალისგან კლიტე დადგებულ ერის, — ერთხელ თავისუფლად გამოთქმულ სურვილს, მის მისწრაფებას, მრავალფეროვან ბრძოლებითა და წარსულის მაგალითებით დამტკიცებულს.

რომელ პატარა ერს შეუძლია საკუთარი გზით თავის განთავისუფლება? თავისუფალიც კი ეძებს შეზობელს. მოკავშირეს თავის დამოუკიდებელ არსებობის შესანარჩუნებლად და ასეთ საერთაშორისო მძიმე და უდიდეს ძალთა დაპირისპირების ხანაში განა შეუძლია დაპყრობილ ერის შეიღთ, მის

ბევრზე მზრუნვათ ხელიდან გაუშვან რომელიმე იარაღი, რომელიც კი მათ გამადგებათ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთს სუვერენულ უფლების დასაცავად? ასებულის გამაგრება, მისი ავტორიტეტის შენარჩუნება, განმტკიცება ყველა ქართველ პატრიოტთა მოვალეობაა, მისდამი დახმარების აღმნიშვნა, ქართულ საქმის წარმოებაში მონაწილეობის მიღებაა.

— მის გვერდით არის ემიგრაცია პოლიტიკური, ქართველობა და გროვილი. სამშობლოს ზედით წამებული, უხევ-ძალადობის მსხვერპლი, მოაზროვნე, ერის კულტურის, ტრადიციების დამცველი, მის შენ-ჩვეულების მატარებელი, უკროელთა შორის მეგობრების მაძიებელი, რომლის მიერ ათეულ წლების მანძილზე დათესილი თესლის ნაყოფი ჩვენს ერს მომავალში გამოადგება. მის დამოუკიდებელ არსებობის დამკვიდრებას ხელს შეუწიობს. ასეთ ძალას ცხადია არ შეუძლია იყვეს ხელებ-დაკრეფილი, პასიური. მაგრამ მისი ნაწილების ცალკალკე მოქმედება, სხვადასხვა გზით სიარული სუროთ საქმისთვის მავრებელია, შემადგრეობებელია. მისი სურვილების, რჩევის, აზრის, ენერგიის ერთ კალაპორტში ჩაყენება—ქართული საქმიანობის წარმატებაა... ამ უდავო საჭიროების შესრულება ცარიელი სიტყვებით, უბრალო სურვილების გამოთქმით შეუძლებელია, საჭიროა სამართლებრივ დაფანტულ ორგანიზაციებისა და საჭირო ძალების სრული მობილიზაცია, შეთანხმებული მუშაობის გეგმის დახახვა და განსაზღვრულ უფლებით აღჭურვილ ორგანოს დარსება, მისი შენობის, ერისგან წარმოგზავნილ სუვერენულ ორგანოსთან თანამშრომლობისა და შეთანხმების პრინციპზე აგება—თუ ძირითადი მიზანი ერის განთავისუფლების ბრძოლისა—აღიარებულია, თუ უკუგდებულია ჩვენ მიერ ზევით აღნიშნული უსარეცხვო და მავნე დავის ხანა,—შეუძლებელი არა შეთანხმება და ერთ მიზნისთვის ყველა სასიცოცხლო ძალათა დარასმეა...

წარმოუდგენელია დღეს ვინმე იყვნებ პარტიზანულ ბრძოლით გატაცებული, კეშული უინიანობით გამსჭვალული. შეუძლებელია დავიწყებული არ იქნას თუნდაც ახლო წარსულის თავდასხმები, რადგან ამ შეურაცხოვილ გრძენობათა დღეობის დაძლევა რა არის შედარებით იმასთან რასაც იქ იტანს ჩვენი ხალხი. ჩვენი იქაური, — ეროვნული. ტრადიციის განცდით, იქაური სურათის ჩვენს გონებაში გადმოტანით შეუძლებელია არ გადაილახოს ყველა დაბრკოლებანი და ერთ ირგანობში თავი არ მოიყაროს მომქმედ ძალებმა...

३८

## სოციალური ინტერნაციონალი.

უკანასკნელი დიდი ომის პროცესში მეორე ინტერნაციონალური დამაშალა და მისი ძალები დაიქმნა. საფრანგეთის ლიბერაციის შემდეგ იყო ცდები სოციალისტური პარტიის დასახლოებლად და ერთმანეთთან დასავაჭირებლად. ამ მიზნით მოწვევულ იქნა კონფერენციები: ლონდონში 1944 და 1945 წლებში. შემდეგ ხელახლად ინგლისში, შვეიცარიაში. ბელგიაში და დაბოლოს ციურისტის კონფერენციამ 1947 წელს აირჩია ერთი საერთო ორგანო, კომისიონ წრდებული, რომელიც უფრო წააგავდა ურთიერთშორის საინფორმაციო და საკაგებორ ბიუროს, ეიდრე ეკროპის სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს.

გასულ ივლისის პირველ რიცხვებში ქალაქ ფრანგისტორტ-ში (ეკრმანი) მოხდა ყრილობა ეკროპის და სხვა შორეულ ქვეყანათა სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლებისა. ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 34 პარტია, რომელიც აერთიანებს 10.000.000 პარტიის წევრთ და რომელთაც არჩევნების დროს ხმას აძლევს 44.000.000 მოქალაქე.

ფრანგისტორტის ყრილობის დაგენერაციებით აღმდენილ იქნა სოციალისტური ინტერნაციონალი, რომლის წევრნი არიან დღეს ეკროპის სოციალისტურ პარტიის გრძელა: კანადის, იაპონიის, ინდონეზის, უზბეგის და არგეტინის პარტიები. მაღა ინტერნაციონალის წევრნი იქნებიან ახალი ზელანდიის და ავსტრალიის მუშაოთ პარტიები. სულ ახლო მომავალში შესაძლებელია ინტერნაციონალში არაეკროპიული მუშაოთ პარტიები უმრავლესობაში აღმოჩნდენ.

წინანდელი აღმასრულებელი კომიტეტის აღგილას ინტერნაციონალს ეყოლება გენერალური საბჭო, რომელიც თავის მხრიდან იჩინებს ბიუროს. ამ ბიუროს თავმჯდომარე ინგლისელი მორგან ფილიპია.

ინტერნაციონალმა მიიღო ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც ეყმარება არა რაიმე სოციოლოგიურ ანალის თანამედროვე საზოგადოებისა და არც რაიმე ერთი მთლიანი იდეოლოგით არის ის გაუქმნილი: ის დაწერილია მოკლე თეზისების ფორმით; რომელთა ერთობლიობა მაინც იძლევა სავსებით ნათელ და დასრულებულ კონცეპტიას პოლიტიკური და ეკონომიკური, სოციალური და ინტერნაციონალური დემოკრატიის, საერთოდ დემოკრატიული სოციალიზმისა.

პროგრამის პირველ თეზისში აღნიშნულია, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ, გამოწვევა, რა სწარმოვალ ძალათა უაღრესი განვითარება, ამავე დროს კერძო საკუთრების უფლება დააყენა ადამიანის უფლების მაღლა, შექმნა დაქი-

రావ్యోభుల మృషాతా ఆబాల్చి క్లాసి, మొక్కల్పత్రులి పొర్వెల శాంగెధ-  
శి ప్రాంగణాల సెప్రియాల్చర శ్ఫల్యాభ్యర్థి దా మిత గాంచాడా క్లాస-  
తా భర్దమలా ఆపిల్పాభ్యర్థి.

టు కాబిట్రాలించిమిస గాన్జోతార్థి ది ఏర్త ఏప్రోఫ్యాషి క్లాసతా  
భర్దమలా ఆపిల్పాభ్యర్థి న్యూ, రాఫ్చాన్సాచ్ సామర్హీష్యేల్లం తెర్మల్ప్రో-  
ట్రాంగిల్చి ప్రాంగణాన్ శ్ఫల్యాల న్యూ వాంగార్లులి దా స్థిర్మాప అంప-  
ట్రమ సెప్రియాల్చిస్త్రులి ఉధైభి దాఖిలాంగ్యోబ్సుల మృషాతా శ్ఫల్యాలి  
మొఫ్రా, డ్లేస, బాట్ఫ్రెంగామిస ప్రాంగార్లామ్చి, లెంగా సాథ్రంగాఫ్రంగ్యో-  
సులి జ్యుష్యోబిప - గ్లోబ్సిప, మెట్రోఫ్సెంసి, టాగ్సిస్ట్యూఫాల తెర్మల్ప్రో-  
సించి మొమ్ముషాప్పెని దా కాంగ్రెంట్రిసి మొసామొసాస్త్రుల్చెని, క్యెల్లిసించి  
దా శ్ఫల్యిల్లి వాంగార్లని, మొసామొసాప్పెని దా మెప్రెంగ్యోబిస మృషాప్పెని  
ప్రాంగ్యోబ్సు, రమ్మ సెప్రియాల్చిమి మాత్రమొసాప్ప సాంగ్యోత్సేసంగ్యోంచా మొమొ-  
ప్రాంగ్యోబ్సుక్కె. సెప్రియాల్చిమి మిమార్తాప్స ప్రాంగ్యోలా మాత, విసాప్ సాంగ్యో-  
రింత మించినించి అంగామిమిస అంగామిమిస మొప్ప జ్యేసప్లంగాంచిప్పిస  
మొసించి.

అంబింగ్రాం, క్లాసతా భర్దమల్లిస రాల్చి గాన్సాంల్ప్రోషుల్లిస  
ఫ్లోగ్యాన్ఫ్రోల ఏప్రోఫిసాట్యోసి. సామర్హీష్యేల్లం తెర్మల్ప్రోట్రాంగిల్చిస  
మొమ్ముభ్యోబ్సి ఉత్పాప్యోబ్సి ప్రాంగ్యోల మొథ్రమ్మెల్తా సాయింతమ మొసించి-  
ప్పోబ్సి శ్ఫ్యేమ్మాన్ ఆబాల్చి సాథ్రంగాఫ్రంగ్యోబ్సి, దాంగాసిం ఆబాల్చి ప్రిమ్పి-  
ప్పోబ్సి, రమ్మెల్పిప్ ప్రాంగ్యోబ్సి దామ్యాంగ్యోబ్సులి సెప్రియాల భర్దమిస, టాంగా-  
మొశింగ్యాంల్లిస దా సెప్రియాల్చిస సాంగ్యోత్సేసించిస కొండించ్చ్యై.

ప్రాంగార్లామి శాంగ్యాసించి లెంగించ్చెస, రమ్మ సెప్రియాల్చిమి  
మొసించిసాప్పోసి అంగా మొసించి ప్రాంగ్యోల మొథ్రమ్మెల్తి దా సెప్రియాల్చిస  
ప్రెటిల్పాప్లోప్పిసి, అంగామ్మె మొశాల్చుల దా జ్యోంగ్యోప్పిస ఎం-  
ర్పోబ్సుల్యోబాతా మొసించ్చెంబ్లాతాప్.

సెప్రియాల్చిమి మొసించిసాప్పోసి గాన్సాంగ్రోప్పోసి మొసి మొశ్చె-  
ంగి అంగా కాల్చించిపిసి, అంగామ్మె మొథ్రింగ్యించిపిసి గెంిత.  
ఒ ప్రా-  
లోంబి మొమింగ్రాం మెప్రోవ్రోబ్సి దాఖిల్చుల్తా శ్ఫ్యేరాంగ్యోల్తా సాయింతమ మొసిం-  
చిస్త్రులి ప్రాంగ్యోబ్సి ప్రాంగ్యోక్రాంతిప్పుల్లి గెంిత మొమింగ్రాం కాల్చి-  
చుల్లోబ్సి. సెప్రియాల్చిమి టాగ్సిస్ట్యూఫ్లోబ్సి గాంగ్యోబ్సి, శ్ఫ్యేరాం-  
గ్రోబ్సి ప్రాంగ్యోల్తా ప్రాంగ్యోబ్సి దాఖిల్చుల్తా ప్రాంగ్యోబ్సి అంగా సాంగ్యో-  
ల్లి గాన్సాంగ్రోబ్సి. సెప్రియాల్చిమి మొమింగ్రాం ప్రాంగ్యోబ్సి కొండించ్చై.

సాంగ్యామి అంగిల్లి జ్యైస దామొమింగ్రాంచిసి సెప్రియాల్చిమి సెప్రియా-  
ల్చిమిస దా ద్యోమ్యాంగ్రాంచిసి సాసింగ్ మెప్రోర్స - జ్యేమ్చెనించి.

ప్రాంగార్లామిస మే-7-8-9-10 టాంగ్సిస్ట్యుబ్శి లెంగించ్చెంగ్లిస ప్రాంగ్యో-  
ల్లా ది భాంగ్రాంచ్యోబ్సి దా వ్యోబ్సి, రమ్మెల్పిప్ ర్యుస్యెతశి భాంగ్రాంశ్యో-  
ప్పుల్లి ర్యుస్యెతశి ప్రాంగ్యోబ్సి ప్రాంగ్యోబ్సి మొమ్ముభ్యోబ్సి సాయి-  
ంతాంగ్రాంచిసి సెప్రియాల్చిస్త్రుల్ మొశాల్చించిస: కుమ్మునిస్త్రుచ్చెబ్మా గాంగ్యో-  
ట్యేస ప్రాంగ్యోబ్సి మృషాతా అంగాన్చిసాప్పోబ్సి దా మిత ఎంగ్యుల్లి  
ప్రింగ్యోబ్సి శ్ఫ్యేర్చుల్ సెప్రియాల్చిమిస గాన్సాంగ్రోప్పోబ్సి ప్రాంగ్యో-  
ల్లి ద్యోబ్సి ద్యోబ్సి. మాత శ్ఫ్యేమ్చెస ఇస్యెతి శ్ఫ్యేమ్చెసి దా ఫ్రాంగ్యోబ్సి  
మిమార్తాప్పుల్లి దా మొమింగ్రాం ప్రాంగ్యోబ్సి దా మొమింగ్రాం ప్రాంగ్యోబ్సి  
కుమ్మునిస్త్రుచ్చెబ్మా దా మొమింగ్రాం ప్రాంగ్యోబ్సి దా మొమింగ్రాం ప్రాంగ్యోబ్సి  
గాంగ్యోబ్సి మించిత కుమ్మునిస్త్రుచ్చెబ్మా ప్రాంగ్యోబ్సి గాంగ్యోబ్సి దా మొమింగ్రాం

წმის იარაღია. ის ეყრდნობა სამხედრო ბიუროკრატიას და ტერორისტულ პოლიციას. შექმნა რა სიმდიდრის და პრივალეგიების მქონეთა განსაკუთრებული ფენები, კომუნიზმა წარმოადგა კლასთა ახალი საზოგადოება. «იძულებითი შრომა» წარმოადგენს მისი ეკონომიკის ერთ მთავარ ფაქტორს.

ეს პირველჯერ არის, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი ასე სასტრიკათ ილაშქრებს თავის საჯარო და საპროგრამო დეკლარაციაში რუსეთის, თუ ინტერნაციონალური კომუნიზმის წინააღმდეგ.

სამეურნეო ეკონომიკის სფეროში სოციალისმის მიზანია, ნათქვამია პროგრამაში, უმუშევრობის მოსპობა. წარმოების გაღიყვება, ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესება, შემოსაცვლის და ქონების მეტი თანაბარი განაწილება. ამ მიზნების მისაღწევათ წარმოება უნდა იქნას დაგეგმული. მაგრამ სოციალისტური დაგეგმვა შეიძლება განხორციელებულ იქნას სხვადასხვა საშუალებებით. თვითონეული ეჭვანის სამეურნეო სტრუქტურისაგან არის დამოკიდებული, თუ რამდენად შესაძლებელია კერძო საკუთრების განსაზოგადოებრივობა და ასებულ ეკონომიურ გაერთიანებათა ნაციონალიზაცია, ანუ განვითარება ახალი საზოგადოებრივი ტრესტების, მუნიციპალური და საოლქო წარმოებების, სამომხმარებლო და სამწარმოებლო კომპერატივების.

საზოგადოებრივი საკუთრების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები არ წარმოადგენს თავისთვალ მიზანს, არამედ არის საშუალებანი, რომ კონტროლი გაუწიოს მრეწველობის მთავარ დარგებს, რომელთაგან დამოკიდებულია მცხოვრებთა კეთილდღეობაო.

წარმოების ყველა საშუალებათა განსაზოგადოებრივობის შესახებ პროგრამა ამბობს, რომ სოციალისტური დაგეგმვა არ არის აუცილებლად დაკავშირებული წარმოების ყველა საშუალებების განსაზოგადოებრივობასთან. ასეთი დაგეგმვა შესაძლებელია შეთავსებულ იქნას მრეწველობის მნიშვნელოვან დარგებში კერძო საკუთრების არსებობასთან, როგორც მაგალითად, სასოფლო მეურნეობაში, ხელოსნობაში, საცალო ვაჭრობაში. წერილ და საშუალო სამრეწველო წარმოებაში. ამ დარგებში დაგეგმვა უნდა ცდილობდეს წააქეთოს და წაახალისონ წარმოების უფრო რაციონალური ფორმები ნებაყოფლობითი კომპერაციების დაარსებით და სახელმწიფო თუ მუნიციპალური დახმარებების საშუალებით. აქვე პროგრამა უმატებს, რომ სოციალისტური დაგეგმვა არ ნიშნავს, რომ სამეურნეო ეკონომიკის სფეროში ყოველგვარი გადაწყვეტილებების უფლება მთავრობის, თუ ცენტრალური ძალაუფლების ხელში იყოს. უნდა მოხდეს სამეურნეო გამგებლობის დეცენტრალიზაცია ყოველგან, სადაც კი შესაძლებელია ამის შეთავსება დაგეგმვის მიზნებთან.

ზემოთ მოთხოვთ დან ნათლად სჩანს, თუ რა დიდი გან-

სხვავებაა ამ არალ პროგრამის და მეორე დიდი ღმის წინ არ-  
 სებულ ინტერნაციონალის პროგრამის შორის. ძველი პრო-  
 გრამა უმთავრესად გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის და  
 ბელგიის სოციალისტურ პარტიებისგავლენით, მათი მსოფლ-  
 მხედველობით და თეორიული მიდგომით იყო შედგენილი.  
 ეს ახალი პროგრამა, ცხადია, დაწერილია სკანდინავიის პარ-  
 ტიების და განსაკუთრებით ინგლისის მუშათა პარტიის გავ-  
 ლენით და აქტიური მონაწილეობით. აქ მოსჩანს ის დიდი და  
 მდიდარი პოლიტიკური და პრაქტიკული გამოცდილება,  
 რომელიც მიღებული აქვთ მუშათა პარტიებს მათ ყოველ-  
 დღიურ მოღვაწეობაში ამ უკანასკნელ ათეული წლების გან-  
 მავლობაში. ამ მათი მოღვაწეობის შედეგია ის, რომ მათ ქვე-  
 ყნებში დემოკტატიული სოციალიზმი ვიწრო კლასიურ მო-  
 ძრაობიდან განვითარდა და გახდა ზოგად ხალხური და ხოგად  
 ეროვნული.

აქვე უნდა აღინიშნოს ჩენენთვის ის მეტად საინტერესო  
 ფაქტი, რომ ქართველი სოც.-დემოკრატია თავის მუშაობაში  
 არასოდეს ვიწრო კლასიური ინტერესებით არ ხელმძღვანე-  
 ლობდა, მიმართავდა და თავის გარშემო რაზმავრაქართველი  
 მშრომელი ერის უმრავლესობას. გლეხთა შორის ის დიდ მუ-  
 შაობას ეწეოდა და მათზე ყერთხმობდა, მისი შეხედულება  
 ამ მხრივ დიდად განსხვავდებოდა ევროპის სოციალისტების  
 შეხედულებისგან.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ ჩენენი დამოუ-  
 კიდებლობის ხანაში ეკონომიურ სფეროში განსაზღვადოე-  
 ბრივებულ სექტორის გვერდით დიდი ყურადღება ექცევდა  
 კერძო ინიციატივას და კერძო საკუთრების სექტორის განვი-  
 თარებას და წარმატებას.

უმცესოვან ხელისუფლების წყარო ამა თუ იმ ერთია,  
 ეკონომიური განვითარებაც ყოველთვის პირველად ერთვ-  
 ნულ ჩარჩოებში იწყება და ხდება.

ამას წინეთ ერთი ცნობილი ფრანგი სოციალისტი ირო-  
 ნით ამბობდა, რომ სოციალისტური პარტიების ნაციონა-  
 ლიზაცია ხდებათ. ეს ფაქტია, მაგრამ ამით ეროვნული ინტერ-  
 ნაციონალურ არ უპირდაპირდება. წინააღმდეგ, დღეს ცველა-  
 სათვის ცხადია, რომ ერი რეალობას წარმოადგენს და ინტერ-  
 ნაციონალური აღმშენებლობა შოთაოდ ამ რეალობის ნიადა-  
 გზე შეიძლება. და რამდენად სოციალისტური პარტიები მათ  
 ეროვნულ ჩარჩოებში მომავრდებიან, თუგინდ მათ ფორმა-  
 ციაზე გავლენა ექნეს მათი ქვეყნების განსაკუთრებულ პირო-  
 ბებს, იმდენათ ამ ცალკელე წყაროებიდან გამომდინარე,  
 მაგრამ შემდეგ მათ მიმდინარეობაში გაერთიანებულ ტალ-  
 ლებზე დაყრდნობილი ინტერნაციონალი იქნება ძლევამოსი-  
 ლი და დიდი მომავლის შემნე ორგანიზმი.

პ. გვარჯალაძე.

## დ ა პ ლ ა რ ა ც ი ა

გამოცემის 26 მაისს 1951 წ. ამერიკის შემოქმედული მტარების ხაგარელ მინისტრის აჩვენა და ნის მიერ,  
ამშრიკის წმაა-ხ ქართველ ხექციის გამო.

ბედნიერი ვარ, რომ მაქვს შემოქმედული შივმართო რამოდე-  
ნიმე სიტყვით ქართველ ხალხს.

მე ბევრი მსმენია ოქვენ მშვენიერ ქვეყანაზე, მის უმწვერ-  
ვალეს მოებზე, მის მდიდარ ვაკეებზე, განსაკუიფრებელ ის-  
რორიულ ნაშთებზე, წარსულზე და სულიერ სიძლიერებზე.

მცირეა იმ ამერიკელთა რიცხვი, რომელთაც პქონიათ ბე-  
დნიერება ენახათ თვით საქართველო, მაგრამ ის ჩვენთვის უც-  
ნობი არ არის.

საქართველოს ხახელი იწვევს ჩვენში მოგონებას არ-  
გონავტთა მოგზაურობისა, რომელიც იქ ეძიებდენ ოქროს  
ვერძს; გვაგონებს პრომეთეოსს, ზეცას რომ წმინდა ცეცხლი  
მოსტაცა და ადამიანს, თავისიუფლებისათვის ზრდოლის ია-  
რაღათ გადასცა. ქვეყნიერებას კარგათ ახსოეს ქართველი  
ერის შეუწყვეტელი ბრძოლა, მისი სასიქადულო ისტორიის  
გასწვრივ, ძველი კულტურის და საქონისტიანო ცივილიზა-  
ციის დასაცავად.

ხშირად ყოფილა საქართველო დაპყრობილი, — მაგრამ  
არასოდეს დამორჩილებული: ქართველმა ხალხმა დღემდის  
შეინარჩუნა თავისი ხახეობა და არასოდეს მას არ დაუკარ-  
გავს ნებისყოფა ადამიანურ უფლებათა დაცვის ბრძოლაში.  
ამიტომაც ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის  
ურყევი სულიერი სიმტკიცე.

ამერიკელ ხალხში დაუთურგნელია რწმუნა კველასათვის  
თავისიუფლებისა და სამართლიანობისა.

ჩვენი შეიძლები იბრძვიან და იხოცებიან ამ პრინციპების  
დასაცავად.

«ამერიკის ხმა» დღიდან თქვენ, ქართველებს, გაძლევს  
საშუალებას საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმა-  
რიტება, რომელსაც კომუნისტები მას უმაღლავენ.

თქვენ მას ეტყვით, რაც ხდება მსოფლიოში; ამცნობთ  
მილიტარისტულ და თავდასხმების აქტებს, რომლის პასუ-  
ხისმეგებელი მხოლოდ კომუნისტების მეთაურები არიან.

ამ უკანასკნელთა შეთქმულება და მუქარა აიძულებს თა-  
ვისუფალ ადამიანს, შეებრძოლოს დესპოტიის გაღრმავებას  
და გაფართოებას.

ამერიკელ ხალხის და მისი მთავრობის საბოლოო მიზანი—საერთო მშვიდობიანობაა, როცა არ იქნება არც ძლიერი და არც სუსტი, არც ბატონი და არც ყმა; მხოლოდ ასეთი მდგრადმარეობა შესაძლებელ ჰყოფს თავისუფალ და ბედნიერ შრომას, შიშისა და სიღარეავის გარეშე და იძლევა უფლებას თვითეულმა იწამოს ის ღმერთი, რომელიც მას უნდა.

ასეთია ჩვენი წარმოდგენა მომავალზე; გიხმობთ ეს გაიზიაროთ. ჩვენი ხალხის სახელით მოგმართავთ ქართველებო, მეგობრული და გულწრფელი სალაშით.

ამ მომართვამ ამერიკის საგარეო მინისტრისა ქათველი ერის მიმართ, გამოიწვია დიდი პროტესტი რუსის ემიგრაციაში, როგორ თუ გამოყო მინისტრმა ქართველობა რუსებისაგან. ისტორიულად ის გამოყოფილია, მისი არსებობა სამი ათას წელს აცილებს, რაც არ აქვთ არც ერთ დღეს არსებულ ერსა, გარდა სომხებისა. რუსები ახალი ხალხია, ქრისტეს დიდი ხნის შემდეგ მოსული და დაბინავებული რუსეთის ცარიელ ტერიტორიაზე.

ამერიკის რუსულ განერაციის «ნოეო რუსკოე სლოვო»-ში რუსებმა მოათავსეს საპროტესტო წერილი; რომლის პასუხი იქვე დაიბეჭდა (7 ივნისის ნომერში) არა ქართველის მიერ.

საერთოდ დრო კი არის რუსებმაც გაიგონ ქართველი ერის ისტორია და მას ანკარიში გაუწიონ.

## 26 მაისი უცხოეთში.

პ ა რ ი ზ ი.

26 მაისი პარიზში განსაკუთრებული შინაარსით ჩატარდა. დიდი დარბაზში გაცემილი იყო დამსწრე საზოგადოებით. წევიმის გახსნისას საოცისტომოს თავმჯდომარემშ. აბდუშელიმა ქართულ ენაზე და ვ. ინწყიორველმა ფრანგულად—მიესალმენ დამსწრეთ. რის შემდეგ დიდი და ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს მეგობარმა საფრანგეთის სენატის წევრმა და ცნობილმა მარიუს მუტებ. მას ფეხზე აღგომით და ტაშის ცემით მიეგება საზოგადოება, მისმა სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრებელებებს, რომელიც ცვირად აწყვეტინებდნენ ლაპარაკს ტაშის ცემით და «ვაშას» ძახილით.

მრავალ მხრივი და მდიდარი იყო არტისტულ-ლიტერატურული ნაწილი. საზოგადოება კმაყოფილი და ნასიამოვნები დაიშალა.

მ ი უ ნ ს ე ნ ი.

ნიკოლოზი უსახსრობის გამო, წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისის ზეიმი შინაურ წრეში იქნა ჩატარებული. ზეიმისათვის მიუწვდინის პოლონელთა ნაციონალურ კომიტეტმა ჩვენს სათვისტომოს დაუთმო საკუთარი დარბაზი.

დარბაზის ამშვენებდა ქართული ეროვნული სამუელოვანი დროშა. შუაგულ ადგილას აღმართული იყო საქართველოს სახელმწიფო ლერძი — თეოტორი რაინდი, შვიდმანთობითი შემთხვევაში მონაცემის მიზანით. მაგიდაზე იდგა ყვავილებში ჩამული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ელოდარბაზის სურათი.

დამსწრეთა შორის იყვნენ გერმანული პრესის წარმომადგენლები. სახეიმო შეკრება გახსნა მიუწვდინის სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარებ ბ. ალექსანდრე კორძიან შესავალი სიტყვით, რომელმაც შეკრებას მოუთხრო ქართველი დემოკრატიის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და მომავალში ბრძოლა დაკარგული თავისუფლების აღსაღენად, და ყველა ეროვნული ძალების ერთიანობისაკენ. თავის სიტყვის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სთხოვა ფეხშეაფვნით პატივი სცენ იმათ ხსოვნას, ვინც თავი დასდევს და სიცოცხლე არ დაიშურეს საქართველოსათვის; რის შემდეგ ქალბატონმა ჯავახიშვილისამ პიანიზე დაუკრა ქართული ეროვნული პიმინი «დიდება».

სიტყვები წარმოსთვევს გერმანულ ენაზე ბ. ბ. ნიკო ნაკაშიძემ და მინდია ლაშაურმა ქართულ ენაზე. ბ. ნ. ალ. კორძაიან წაიკითხა დეპეშები და წერილები კავკასიელ ერების, უკრაინელების, ეროვნულად მათხოვნე კაზაკების, პოლონელების და უნგრელების წარმომადგენლებისა, და აგრეთვე ჩვენი სათვისტომოს უცუცესი წევრის ბ-ნ გიგო და სამინისტროს (ურანგული ზონიდან), გარლამ გუნიასაგან (ჩრდილო ამერიკის შტატებიდან) და მთელი რიგი ქვეყნებიდან.

დასასრულ კრებამ, სახეიმო ეითარებაში მისაღმების წერილი გაუგზავნა პარიზში ნოე ერტდანის.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის გამო, ზოგადი მიმოხილვა გადასცა მიუწვდინის რადიომ. და მთელს რიგ გაზეთებში იყო პატარა წერილები საქართველოს ეროვნული თავისუფლების დღის — 26 მაისის გამო.

---

26 მაისის დღესასწაულის გამო ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარებ ნოე ეორდანიამ მიიღო მოლოცვის დეპეშები სომხეთის და უცხოეთის სხვადასხვა ადგილებში მცხოვრებ ქართველებისგან.

## რუსული პრესა.

პარიზის რუსულ გაზეთში, «რუსეაია მისლის» 11 ივნი-  
 სის ნომერში მოთავსებულია ერთი დიდი ფელტონი ამ სა-  
 თაურით: «რუსეთი და საქართველო», ვილაც მარქოვის ხელის  
 მოწერით. ამ დიდ საკითხს ავტორი შექმნა ზერელით, მხო-  
 ლოდ რუსული იმპერიალიზმის გასამტკიცებლათ და ისტო-  
 რიულ ფაქტებზე აგებულ სინამდვილის მიწქმალვით. არსე-  
 ბობს უდაო და უტყუმენტები ამ საკითხზე და მა-  
 თი დამატება ნიშანას ისტორიის დამალვას. ერთია ზელშე-  
 კრულობა დადებული საქართველოს მეფე ერეკლეს და რუ-  
 სეთის მეფე დედოფლის ეკატინინ მეორეს შორის. თანა-  
 ხმათ ამ დროუმენტისა, რუსეთ-საქართველოს შორის დამყა-  
 რდა კავშირი საქართველოს დამარებისა ომის დროს და  
 ხელშეუხელებლობა საქართველოს სამეფოსი. მეფე ერეკლეს  
 სიკვდილის შემდეგ პეტერბურგმა დაარღვია ეს ხელშეკრუ-  
 ლობა, არ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიპ-  
 ყრო ის ძალით. ასეთივე ტედი ეწევია დასავლეთ საქართველოს,  
 რომლის მეფე სოლომონი იძულებული იყო თავიდან აცი-  
 ლებია დატყვევება რუსეთის მიერ ისმალეთში გაქცევით,  
 სადაც ის გარდაიცვალა.

ასე სკანდალურათ დაასრულა დიდმა რუსეთშა პატარა  
 საქართველოსან დადებულ ხელშეკრულობა.

საქართველომ აღადგინა ეს დაკარგული თავისუფლაბა  
 26 მაის 1918 წ. რაც მოსკოვმა იცნო შესაფერი ხელშეკრულო-  
 ბით. აი ეს პირობა დაარღვია იმავე რუსეთის მთავრობამ,  
 შემოიჭრა ჯარით 1921 წ. და ექვსი კვირის ომის შემდეგ დაი-  
 პყრო ის ოსმალეთის დახმარებით.

საბჭოთა რუსეთი ალმოჩნდა საქართველოს მუდმივი  
 მტერი—ბრესტლიტონგსკის ზაეით მან მოიყიდა ოსმალეთი  
 საქართველოს ტერიტორიების გადაცემით, ხოლო 1921 წელს  
 იგივე სიბოროტე ჩაიდინა ყარსის ხელშეკრულობით.

ასე მოეცყრა რუსეთი საქართველოს. მან არ იცნა და არ  
 ცნობილობს დლესაც საქართველოს თავისუფლებას.

მომავალი რუსეთის გალია ეს წასული შეცდომა გამოა-  
 სწოროს და იცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და და-  
 იკავოს მასან კავშირი.

---

ყველა რუსი არ აზროვნებს მარქოვისებურათ საქართ-  
 ველოსე. ამის მაგალითია ამერიკის რუსულ გაზეთში მოთავ-  
 სებული წერილი ცნობილი მწერლის პ. ბერლინის საქართვე-  
 ლოს შესახებ (გან. «ნოვო რუსეთ სლოვო»).

ავტორის დასკვნები რომ დავტოვოთ მის პასუხისმგებლობაზე—ჩენენ სიამოვნებით უნდა აღვიწონოთ, რომ მთელიწყრილი დიდი გრძნობით იხსენიებს ქართველ ერს და ახასიათებს მას როგორც გმირულ და რაინდულ ხალხს, რომელმაც საუკეთესო იდებისათვის ბრძოლაში დიდი მსხვერპლი გაიღო და მით საპატიო ადგილი დაიდავა კაცობრივობის ისტორიაში.

ავტორი ეხება განსაკუთრებით ხაჭაპურიძის წიგნს, რომელიც გამოსულია მოსკოვში 1951 წელს, იხსენიებს აღმუნთებით მასში უხვათ გაბრულ ცინიზმს ქართველი ხალხისადმი, ყოველ ლიტერატურულ მოქმედებას მისდამი და გაკვირებას გამოსთვევამს თუ როგორ გასთელა ასეთის ვერაგობით ტომით ქართველმა სტალინმა, ორჯონიქიძემ და ზერიამ ქართველი ხალხის თავისუფლებაო.

ტყუილათ უკვირს პატიცემულ ავტორს—ცნობილია, რომ ერთი და იგივე ხალხის სამოდან დიდი გმირიც გამოსულა და სისხლის მსმელი მტარვალიც...

### გ ა პ რ ი თ.

პარიზის ემიგრაციის მარჯვენა სექტორი გამოყო მთელ ემიგრაციას, შექმნეს თავისი ორგანიზაცია, დაარქვეს ცენტრი და გახადეს ყოველნაირი ცილისწამების ბუდეთ. მისი თავმჯდომარეა გაბაშვილი, ცნობილი თავისი რეაქციონერობით ჯერ კიდევ საქართველოში, რომელიც მისმა პარტიამ არწამოაყნა და არ აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრათ. მისი მდივანი და მისი შეგირდია ლ. ზურაბიშვილი; ეს გამოყო თავის მამას, ივანეს, რომელიც ჩენენთან ერთად მუშაობდა და დაემორჩილა მის მოწინააღმდეგეს. ამათ გამოუშვეს ფურცელი სავსე ყოველნაირი ჭორებით წინააღმდეგ სოც.-დემოკ. პარტიისა და ნაციონალური მთავრობისა. მათი მთავარი ჭორია ის, რომ ეითომ ჩენენ ვართ დაკავშირებული რუსის ემიგრაციასან, ვიღებთ მათ პროგრამას—ერთი მთლიანი რუსეთისას და ვეთხოვებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ ბრალდების საბუთი არავითარი არ წამოუყენებიათ. ასეთი ზერელე ადამიანები გამოდიან მეთაურათ მათი «ცენტრის».

ასე დავარდა პარიზის ემიგრაციის ერთი ნაწილი, რომლის წინააღმდეგ 9 სექტემბერს გაიმართა ქართველი კოლონიის მასიური მიტინგი და სადაც ეს მეჭორენი და არას მკეთებელი გაანიავეს.

## მ ს ი კ ი ლ ი ლ ი ს ა ბ ა ზ ი ს უ მ ი ს ა დ გ ა მ ა თ

(საზღვავი დროი)

ჩეენმა მკითხველმა უკვე იცის თუ როგორ შექნა ემიგრაციის ერთმა უმნიშვნელო ნაწილმა რაღაც ორგანო, რომელსაც უწოდა «ქართული ეროვნული ცენტრი». იცის ისიც თუ როგორ დაგმო ეს «ცენტრი» და გაძჰიცხა მისი ავტორები 28 იანვარს შემდგარმა პარიზის ქართველობის მრავალ-რიცხოვანმა კრებამ, რომელმაც ერთხმად დააღინა აერჩია კომისია ნამდვილი ცენტრის შესაქმნელათ. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდო კრების თავმჯდომარეს ბ. კ. ქაგარაძეს და მის მფრივანს ბ. ვ. ლაბაძეს.

თანახმად ამ დადგენილებისა, გ სექტემბერს, «სოს. სავან»-ის დიდ დარბაზში, უცსდგა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 200 მეტი ქალი და კაცი. მოსაწვევ ბარათში აღნიშნული იყო გასაჩინევათ მხოლოდ ორი საკითხი—გაცნობა საერთო მდგრადისა და არჩევა საორგანიზაციო კომისიის.

3 ნახ. საათზე ბ. კ. ქაგარაძემ გახსნა კრება და მიმართა მას შემდგენ სიტყვით: ეს კრება ბატონებო არის გაგრძელება იმ კრების, რომელიც უცსდგა 28 იანვარს. უცსდებია ამ თა კრების შორის დიდი ინტერვალი; მაგრამ ჩეენის ჩავიდონეთ განძრას—უუცდიდოთ დამშვიდებას, საერთო ატმოსფერის დაწყნარებას, რათა უცემ შევვძლებოდა ჩეენი მოვალეობის ასრულება. ამ ჩეენი ქვეყნისათვის საბეჭისწერო მომნიჭები. ეს მომენტი ბატონებო უცილებლათ ავალებს ყველა ქართველს, რომელსაც კი სურ თავის ქვეყნას ემსახუროს. თავი მოიყაროს ერთ ორგანოში, რათა შეერთებული ძალით. უფრო ადვილათ შევსძლოთ ვამცნობ შოთაფლიონ სინდისს ჩეენი ქვეყნის გაჭივრება. ამ დიდი საქმისათვის უნდა უკუ ვაგდოთ ყოველივე ის რაც გვთიშავს და ვეძიოთ ის, რაც გვაერთებს. დღევანდელი კრება სწორეთ ამისთვის არის მოწვეული და იმედი უნდა ვიქონით ის ამას პირნათლათ შეასრულებს. სთხოვს კრებას ფეხს ადგომით პატივი სცეს ახლად ვადაცვლილ გ. ესტრულის ხსოვნას და საერთო მდგრადისა გასაცნობათ სიტყვას აძლევს ბ-ნ გვ. გვეჭიორს.

გვ. მიმმართო \* ბატონებო! საერთაშორისო მდგრადის შესახებ მე მოხსენებას არ ვაკეთებ, არამედ შესავალს, რომელიც მოგვცემს საშვალებას ამ საგნის ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლისა.

ვერავინ ვერ აიღებს თავის თავზე იწინასწარმეტყველოს თუ რა მოხდება ხვალ. მართალია ორივე მხარე გაურბის მე-

\* უადგილობის გამო ყველა სიტყვები იბრუნება შეტად შემოკლებით.

სამე ღიღ ღმს, მაგრამ ადგილობრივი სამხედრო კონფლიქტი უკვე გადასცილდა საზღვრებს და მაშინ, როცა მიღილნანი ჯარები სისხლს ლვრიან ბრძოლის ველზე ძნელია იმის თქმა— შესძლებს თუ არა ორივე მხარის მეთაურობა ასეთი მდგომარეობის ლოკალიზაციას. ქვეყნათ იძღვნის ასაფეოტებელი მასალაა დაგროვილი, რომ მცირე რამეს შეუძლია ააფეთქოს ამ მასალებით გატენილი სარდაფი და გამოიწვიოს საერთო შორისო სისხლის ლვრი. ასეთ შტავე კრიტიკულ მომენტი ყველა ღიღი და პატარა თავდაცვის მოწყობის საქმიანობაში. ყველა ერის ემიგრაციას ეტყობა გამოლვიტება და წწვხარებით უნდა ალენიშოთ, ერთად-ერთ გამონაკლს წარმოდგენს საზღვარ-გარეთელი ქართველობა. ის იძლევა სურათს სრული დაშლილობისას, სადაც კრიზისური და პირადი ჯახი ცარბობს პასუხისმგებლობას. ეს არ ეკუთხა ჩვენს ბრწყინვალე წარსულს, როცა ქართველობა თავში ედგა მოწინავე იდეები საფის მებრძოლობით და შებაირარტო გამოიიღო და პიროვნული თუ ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამას უნდა ბოლო მოედოს და ამის შემთხვევაც ხელთა გვაძვს. ცნობილი «ამერიკული კომიტეტი» იღებს ინიციატივას ხელი შეუწიოს ყველა ერის ემიგრაციის ორგანიზაციების ცალ-ცალკე თავის მოყრას და მათ შორის საერთო ენის გამონახვას მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დგას საკითხი თუ როგორ პოზიციას აიღებს ქართველი ემიგრაცია ამ შემთხვევაში. გაუშვებს თუ არა ის ხელიდან შემთხვევას, რომ დაანახოს მტერს და მოყვარეს, რომ მას არ დაუკარგავს უნარი მოქმედებისა. უნდა თუ არა მას კვლავინდებურათ ამ ღიღ მოძრაობაში მიღლოს მონაწილეობა და დაიკიროს ის მალობი, რომელიც მას შეეფერება.

ყველა ის ხმები რომელიც ახლა წერილობით თუ სიტყვიერათ ვრცელდება ამ მნიშვნელოვან წამოწყების წინააღმდეგ მტკნარი სიცრუუა. ჩვენ არ ვეხებით მოტივებს, რომლითაც ეს ხმები არის გამოწვევული—მხოლოდ აღნიშნავთ რომ ეს ხმები ხელს უწყობენ ამ საკვეყნო საქმის დაშლას.

ჩვენი ქვეყნის ინტერესები იმპერიატიულათ გვიკარნახებს დაუყონებლივ მოხდეს გარდონს ხელში ქართველ თა გაერთიანება. მან უნდა თავის ეროვნული დროშით, მონაწილეობა მიღლოს ყველა იმ ერებთან განუზრიელათ, რომელიც არ ებრძვიან ქართველი ერის კანონიერ მოთხოვნილებას. თუ ქართველი ემიგრაცია ამ თავის წმინდა შოვალეობას რ შეასრულებს—ამით ის მისცემს ყველას საბჭოს სთქვას. რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში ის არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე.

ტ. სარგალაშვილი. ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ეს პირველჯერ არის, რომ ქართველი ემიგრაცია მთლიანად ირაზმება და პოლიტიკურ მუშაობისათვის ემზადება.

დღეს საერთაშორისო მდგომარეობა მეტად რთული და

სერიონშულია. ყველა ჩაგრული ერგბის წარმომადგენლობა მუშაობს, თუ მუშაობის სამშატისშია. ქართველი ემიგრაციის ვალდებულებაა აგრეთვე მთლიანად ღირებულის, ყველოვნების უთანხმოება დაივიწყოს, გადალახოს და დაუყონებლოვ აქტიურ მუშაობას შეუდგეს.

ზოგი სადათ საკითხები, რომელნიც წინეთ ერთმანეთი-  
საგან გვყოფდა ამ ბოლო ხანებში თითქმის ამოწურულად  
უნდა ჩათვლილიყო და ვფიქტორდებით ჩვენ, რომ დღევანდელ  
კრებაზე ყველა ქართველი პოლიტიკური პარტიის ბის, თუ და-  
ჯგუფებების შეთანხმება ადგილი საქმე იყო. სამისიონ შესა-  
ფერისი ნაბიჯებიც იყო გადადგმული და კერძო მოლაპარა-  
კებაც გვქონდა. სამწუხაროთ იმედი არ გაგვიმართლდა. წინ  
გადაგველობა, კითომცდა, ერთი დიდი დაბრკოლება.

თქვენ ხელო გაქვთ წერილი, რომელსაც ხელს აწერებ  
ბ. პ. რ. გამაშევილი და ლ. ზურაბიშვილი. ამ წერილით თქვენ  
გატყობინებერ, რომ ვითომც ქართველი სოც.-დემოკრატები  
მორიგებულან რუსეთის ემიგრაციასთან დამოკიდებულების  
საკითხში, მასთან შეთანხმებულან და ერთვნული დამოუკი-  
დებლობისათვის ბრძოლაშე ხელი აულიათ. საჯარო ვაც-  
ხადებ, რომ ყოველივე ეს სინამდვილეს მოკლებულია და ჩვე-  
ნი საერთო საქმისათვის მეტად მავნებელი. ვაცხადებ, რომ  
რუსეთის ემიგრაციასთან დამოკიდებულების საკითხის შესა-  
ხებ არავითარი საერთო მსჯელობა ქართველ სოციალ-დე-  
მოკრატთა შორის არ ყოფილა. არ ყოფილა არა იმიტომ, ვი-  
თომც რუსეთის ემიგრაციის დამოკიდებულება ქართული  
საკითხისადმი უმნიშვნელო რამე იყოს, ვითომც ჩვენ საჭი-  
როთ არ ყცნობდეთ, რომ რუსებმა საქართველოს დამოუკი-  
დებლობის აღდგენას მხარი დაუჭირონ, ამის შესახებ პრესა-  
ში განცხადება გააკეთონ, ასეთი მათი აზრი რადიოთ რუ-  
სეთში მომინადრე ყველა ერებს ამცნონ და ჩვენ წინააღმდეგ  
ბრძოლას აქ უცხოეთში ბრძოლისაგან თავი შეიკავონ. ყველა  
ეს საკითხები მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მაგრამ თუ  
ამათ შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა, ეს იმიტომ, რომ ჩვენ-  
თვის რუსებს სალაპარაკოთ დაემდე არ მოუმართავთ. თუ  
ასეთ მომართვას ექნება აღილი, ის დაისმება იმ ქართულ  
ეროვნულ საბჭოში, რომლის შექმნა ჩვენ ვეინდა დას და  
სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ქართველი პო-  
ლიტიკური პარტიების და დაჯგუფებების წარმომადგე-  
ნელი.

მომავალი ქართული ეროვნული საბჭო უნდა იქნეს ცენტრალური ორგანო საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა უცხოეთში. მისი დანიშნულება და მიზანი იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის და ქართველი ერის სრულუფლებისანობის აღდგენა. ამ საბჭომ უნდა გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა ქართველ მოქმედ ძალებს უცხოეთში. ის გასწევს პროპაგანდას უცხოეთის საზოგადოებრივ მომავალი ქართული ეროვნული საბჭო უნდა იქნეს ცენტრალური ორგანო საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა უცხოეთში. მისი დანიშნულება და მიზანი იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის და ქართველი ერის სრულუფლებისანობის აღდგენა. ამ საბჭომ უნდა გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა ქართველ მოქმედ ძალებს უცხოეთში. ის გასწევს პროპაგანდას უცხოეთის საზოგადოებრივ

ბრივ წრეებში; რათა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს მხარი დაუჭირონ.

საქართველოს ეროვნული საბჭო კავშირს გააბამს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ყველა იმ ერების წარმომადგენლებთან, რომელიც იქნობენ ქართველი ერის უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი, ალიარებენ საერთოდ ერთა თვითგამორჩევის უფლებას ურეშერვოთ და იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეროვნული საბჭოს მიზანი და დანიშნულება ნათელია, სამქამედო გზაც ნაჩვენებია. ყველა ქართველების, ყველა პოლიტიკური პარტიის და დაჯგუფებების მოვალეობაა ამ თრგანოში ერთად თავი მოიყაროს და საქმიანობას დაუყონებლივ შეუდგეს. საქმეები გახდეთ ბევრია და მის გაკეთებაში ყველამ თავის წელის უნდა შეიტანოს.

ნ. ცინცაძე. საგანი ჩვენი კრებისა უფრო «კონსტრუქტული» ხასიათის უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ იძულებული ვხდებით ამას რამდენიმეთ ავცდეთ. მიზეზი ვახლავთ ის მით-ქმა-მოთქმა, რომელიც ემიგრაციის ზოგირთ წრეებში ერთმა-ფურცელმა (გაბაშვილის და ზურაბიშვილის ხელის მოწერით) გამოიწვია. ჩვენ განძრახა არ შევეხებით იმ ნაწილს, «პროკლა-მაციისა», რომელსაც აშერ ჭორის ბეჭედიაზის; სამაგი-როთ ვილაპარაკებ იმ ნაწილზე, რომელიც ვითომ პოლიტი-კას და ტაქტიკას ეხება. «მოორ ფრაქციამ (ს. დ.) მოითხოვდა — ვკითხულობთ ალნიშნულ ფურცელში — «რუსეთის დემო-კრატიასთან თანამშრომლობას» და ქვევით დასძენენ; რომ «სანდო ცნობების მიხედვით (?) მათ (ს. დ.) უკვე აღადგინეს კავშირი რუსეთთან და მით უარ ჰყენეს ეროვნულ დამოუკი-დებლობისათვის ბრძოლა». ა. მე არ მინდა მიემართო თქვენს კრძობას; გონიერის გზა უფრო სამედო იქნება და ამიტომ ზემო ალნიშნულ განცრადების საპასუხოთ ავალიაპარაკოთ ფაქტები. როცა ე. წ. «საცენტრო» კომისია ხანგრძლივ მუშა-ობის პროცესში გამოუალ ჩიხში მოვქცა — მე და ჩემმა მეგო-ბრებმა ერთი ცდა გავაკეთოთ: კომისიის ორ ჯგუფთა წარმო-მადგენლებთან (რ. გაბაშვილი, ე. პატარიძე) და ლ. ზურაბი-შვილი) გავმართოთ მოლაპარაკება, რომლის შედეგათ ერთ- ხ მაღ მიღებულ იქნა პროექტი სამოქმედო პლატფორმა— დეკლარაციისა და წესდება,— და არ ამ დოკუმენტში სხვა-თა შორის სწერია: ... აჩვენ იმპერატიულათ გვევალება კავში-რი ყველა გულწრფელ დემოკრატიულ ანტიბოლშევიკურ ძა-ლებთან, ვინც სდგას ერთა თვითგამორჩევის ნიადაგზე ურ-ზერვოთ. აქ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, პირველ ყოვლისა, სა-ბჭოთა ფარგლებში მოქცეულ ერთა ემიგრანტული ძალები, მათ შორის რუსული ემიგრაციის ის დემოკრატიული სექ-ტორი, რომელიც ზემო ალნიშნულ პრინციპს გულწრფელათ შეეთვისა და უდალო ალიარებს ქართველი ერის უფლებას თვით განაგოს თავის ბედი. ჩვენი მიზანი ხომ უცვლელი რჩე-

ბა: საქართველოსთვის ძალით მოტაცებულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაბრუნება და დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენა».

აი ამას იზიარებდა გაბაშვილი და ზურაბიშვილი! კომენტარიები, ვფიქრობ, ზედმეტია და ლირებულება «პროკლამაციისა» ამის შემდეგ გარჩვიულია.

ნ. ურუმაძე. (კიოთხულობს) ჩვენი, სოციალ-ფედერალისტების პარტიის, დოკუმენტები პაზიცია სავსებით გამოხატავს ქართვული საქმის საერთო ინტერესს და ეწინააღმდეგება სეკტანტურ და პარტიულ მიზნებს. ჩვენთვის, ქართველ ემიგრაციის უცხოეთში არსებობა პოლიტიკურათ გამართებულია თუ ის ბოლომდე ემსახურა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის საქმეს. როგორც წარსულში, დღესაც ჩვენ, ს. ფ—ბი ვდგევართ ქართულ პოლიტიკური ძალების მთლიანობის ნიადაგშე. ჩვენ, სოც.-ფ.—ბი, ჩვენს პოლიტიკურ მოვალეობათ ვსთვლით ჩვენი შეძლების მიხედვით და პასუხისმგებლობის ურთიერთ განიარებით მონაწილეობა შევილოთ ეროვნულ მთავრობის მუშაობაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ იქნება მიმართული. ჩვენ გამოვსთვამთ ჩვენს გულწრფელ რწმენას, რომ ჩვენი ერთსულოვნებით ამიერიდან მაინც შევსძლებთ ჩვენი ნაყოფიერი მუშაობით იმ ჩიანის გამოსწორებას, რომელიც ჩვენი ხანგრძლივი უთანხმოებით ჩვენს საქმეს მივაყენეთ. და თუ ჩვენდა სამწუხაოთ დღევანდელ კრებაზე ისევ ვერ მოხერხდა გაერთიანდა, ჩვენ საჭიროა მიგეხინია დაარსდეს გაერთიანება იმ აეტორიტულ ორგანოსი, პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პასუხისმგებელ პირთა, რომელიც უცხოეთში იმყოფებიან სამშობლოსათვის მისი უფლების დასაბრუნებლათ და არა საერთო საქმისათვის მავნე დაუსრულებელ დავის საწარმოებლათ. პრ. ინტერირველი (ადგილიდან) მაჟავარიანი თქვენი თანხმობით არის შესული იმ «ცენტრში» თუ არა?

ნ. ურუმაძე. იმ «ცენტრის» შედგენის დროს დ. მაჟავარიანმა გადმოგვცა რომ ის მიწევულია ამ კრებაზე და მიღის იმ მიზნით რომ ხელი შეუშალოს განხეთქილებას. ჩვენ მივეცით დასტური და დავავალეთ რომ არას შემთხვევაში არ დათანხმებულიყო ისეთი ცენტრის შედგენაზე რომელიც გაყოლდა უმიგრაციას, გარეთ დატოვებდა სოც.-დემ. სექტორს, გარიყავდა მთავრობას და თვითონაც არ უნდა შესულიყო ჩვენდანებადაურთველათ. მან კი დაგვაყენ დაქტის წინაშე. როცა «ივერია»-ში გამოცხადდა რომ ის ვითომ ჩვენი სახელით იყო შესული—ჩვენ მოვთხოვეთ მას უარყო ეს ცნობა. მან გვიპასუხა წერილობით რომ ის სწერს წერილს «ივერია». ს რედაქციას გამოსაქვეყნებლათ, რომელშიდაც განცხადებულია რომ ის შევიდა «ცენტრში» პიროვნულად და არა როგორც ს.-ფ. წარმომადგენელი. ახლა ვსარგებლობ ამ შეკითხვით და სოც.-ფედ. ბიუროს სახელით, ვაუწყებ ამას ქართველ საზოგადოება.

გრ. ურატაძე. ბატონებო, აქ წაიკითხეს ის ფურცელი, რომელიც დაურიგდა ქართველ ემიგრაციას და რომელსაც ხელს აწერს რ. გაბაშვილი და ლ. ზურაბიშვილი. ეს ფურცელი მიმართულია, პირველყოველისა, ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი პარტია ისე არ დაძაბუნებულა რომ მას ღირსეული პასუხი ვერ გასცეს თავის ტროჩე და თავის ადგილზე. ამიტომ, მარტინ ეს რომ ყოფილიყო ჩვენ მაზე არც კი შევჩერდებოდით აქ. მარა მას აქვს მეორე მხარე მეტად საჭიან. საკვირველია, ყოველთვის, როგორც კი დაწყება მუშაობა გაერთიანებისათვის, აქედან თუ იქიდან, ამა თუ იმ ფორმით თუ შინაარსით—შემოიტება ხოლმე ისეთი რამ, რომელიც ცდილობს შეუძლებელი გახადოს ყოველგვარი გაერთიანება. ვისთვისაა ეს საინტერესო და ვინ იგებს ამით—თქვენ ადვილათ მიხვდებით. უკველია საბჭოელები ფართოთ გამოიყენებენ აქაც და იქაც საქართველოში გაბაშვილ-ზურაბიშვილის გამოცემულ ფურცელს. ამიტომ მასში აღნიშნული ცილისწამებან ძირშივე უნდა ჩაიკრას, რადგან ზიანის მოტანა შეუძლია მთელი ეროვნული მუშაობისათვის. არსებითად კი —არა მგონია ემიგრაციაში აღმოჩნდეს ვინმე რომ ეს ბინძური ჭრი დაიჯეროს.

ბატონებო, 30 წელია ჩვენ ვაწარმოებდით აქ უცხოეთში პრაპაგანდას. დღეს კი დადგა დრო აქტივობის, მოქმედების, პრაქტიკული საქმიანობის და ამ მეტად რთულ და საპასუხის-მგებლო მომენტში უნდა ვიყოთ დარასმული, შეკავშირებული და ერთსულოვანი.

შემდეგ სიტყვას იოებს ი. გობეჩია, რომელიც არც კი ყოფილა კრებაზე მოწვეული. მან ვერ შესძლო გადაელახა თავის ბუნება და მისი ჩვეულებრივი ლექსიკონით მთელი ნახევარი საათი აწამა კრება და თავმჯდომარე. დაათავა იმ „ცენტრის“ შექებით, რომლის გამგეობაში თვითონ შედის და რომლის თავმჯდომარე ზემოთ ნახსენები ფურცელი გამოსცა და რომელმაც ასე აღაშვილთა ყველანი. ი. გობეჩიას შემდეგ ილაპარაკა მოხუცმა სიმონ ჩიკვილაძემ, რომლის მშენებრძა სიტყვამ ყველაზე ღიღი შთაბეჭილება მოახდინა. უადგილობის გამო იძულებული ვართ ეს სიტყვაც შემოკლებით მოვიყენოთ.

ს. ჩიკვილაძე. დღევანდელ კრებაზე მინდა მოვიყონო ზოგი ძეველი და ახალი ამბები. ჩვენს ისტორიას მეგობრებოთან სდევს მრავალი პატარა შავი წერტილები. როცა თამარ მეფემ იქროს ხანა შექნა, მას ხელის შეწყობის მაგიერ ზოგიერთები აუჯანცდენ. ეს იყო შავი წერტილი. დიდი რევოლუციის პრაცესში საქართველო განთავისუფლდა. საჭირო იყო მისი გამაგრება. ნაცელად ამისა ორჯონიშვილე-მდივნებმა ის რესის ჯარებს გაათელიეს. ეს იყო შავი წერტილი. არასოდეს ჩვენი ქვეყანა არ ყოფილა ისე გაერთიანებული როგორც 18—21 წ. წ. და თუ რუსეთი ვერ დავამარცხეთ განა ეს მთავ-

ରୁଦ୍ଧାବ ଜ୍ଞନା ହାତେଯାଲାଙ୍କ ଡାନାଥାୟିଲାଟ ! ମହେଲୀ ପ୍ରେସ୍ବରତ୍ରେଣ  
ରୁଦ୍ଧେତୋ ସିଗ୍ରେଜ୍ଯୁ ଅପ ଫରନ୍ସ ମେଗିନ୍ଝାର୍କେବିଦା ସାମିନ୍ଦ୍ରାଲୀ ସାମା-  
ଜାଲାଜାମ ଅମି, ରୁମ୍ଭେଲମାପ ମିଲାନୋନ୍ଦେବିସ ସିପ୍ରୋକ୍ଷେଳ୍ପ ଶୈଫିରା-  
ଦା ଅପ ଫରନ୍ସ ହ୍ୟେବନ୍ କି ଏର୍ପ ଏର୍ପିଟ ହ୍ୟେଟି ସିଲେଲୋ ଅର ଫାଲୁରୋ-  
ଲା ଦା ସାପୁର୍ବେଲତାର ଟାଗିଲୁଶ୍ଵରଦ୍ଵାରି ଗାତ୍ରାରତ୍ନ ଉଦ୍ଦିଲେଶ୍ଵ-  
ରନ୍ଦ୍ରେଶ୍ବରନାଥବି ହ୍ୟେଟାରମ୍ବେଦି ଦା ହାତ୍ମନ୍ଦ୍ରାଲିବଦା ଏମନ୍ଦ୍ରାତ୍ମିକୁ-  
ଲା ହ୍ୟେବନ୍ ପଦିକା. ଦା ପ୍ରାଚୀର୍ବିଦ୍ୟା ଏବଂ ଶୈଲେଲା ହ୍ୟେବନ୍ ଏରୀ ମି-  
ଦରନୀର କ୍ଷେତ୍ରମଧ୍ୟରେ ନିର୍ମିତ ବିଶ୍ୱାସିତ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମରେ ଅର କ୍ଷେତ୍ରରେ  
କ୍ଷେତ୍ରରେ ଅର କ୍ଷେତ୍ରରେ ଅର କ୍ଷେତ୍ରରେ ଅର କ୍ଷେତ୍ରରେ ଅର କ୍ଷେତ୍ରରେ

კ. სალია (კითხულობს «თეთრი გიორგი»-ს სახელით). საქართველოს თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში იშვიათად პერიოდი ისეთი საპასუხისმგებლო და როგორი მომენტი, როგორც დღეს, დანცველად იმისა, რომ შეერთებული ძალებით, კეთილ ერთად, მდგომარეობის ჯეროვანი და დინჯი აწონ-დაწონვით ვმოქმედებდეთ, ძირითად დროს შინაურ დავაში ჩასრულავთ.

გვასხოვს როგორ მოუშადებლად შეკვეთით მეორე მსოფლიო ომს. რის გამოც ბევრ მიულებელ გამოსვლებს პერნა აღიალი. ბევრი მსხვერპლიც გავიღეთ უმიზნოდ. ამისი აცლენა შეიძლებოდა ერთი ავტორიტეტული ხელმძღვანელობა რომ გვყოლოდა. დას მესამე მსოფლიო ომის საშიროების წინაშე ვდგევართ და უფრო დაქსაჭსულნი ვართ ვინებ მდესმე.

მწარეთ სცოდა ის, ვინც ფიქრობს აյ დღეს კიდევ პარტიული კაიტრალის შექრნას და გამხადებული პროგრამით განთავისუფლებულ საქართველოში შესვლას.

ჩევნთვის მისამართია თანამშრომლობა ყველა იმ ძალებთან, განურჩევლად პლიტკური მრწამისა, ვინც ჩევნ საერთო მტერს ებრძევთ და ჩევნი ერთს უფლებებს უდავოდ და ურჩევოდ სცნობს.

ლობას; ამ შერივ მუშაობაც უნდა სწარმოებდეს და თუ აუ-  
 ცილებელია საერთო ორგანიზაციის დაარსება შეთანხმებუ-  
 ლი ბრძოლის საწარმოებლად, მაშინ უნდა შეიქმნას საბორ-  
 გის მიერ დაპყრობილ ყველა ერთა ორგანიზაცია, რომელშიც  
 რუსეთი შემოვა წევრად ისე, როგორც საქართველო, კავკა-  
 სის სხვა ერები, უკრაინა, ლატვია და სხვა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველანი ვერძნობთ სა-  
 ჭიროებას ერთი ხელმძღვანელობის შექმნისა. ჩვენი დაკვირ-  
 ვებით არავითარი გადაულახავი დაბრკოლება წინ არ ეღო-  
 ბება ამის განხორციელებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არსებობს ისეთი ქართველი,  
 რომელიც საქართველოს უფლებებზე დავობდეს.

არც ის გვჯერა, რომ ვინმეს სასარგებლოდ და საჭიროდ  
 მიახნდეს ჩვენი ეროვნული მთავრობის კანონიერების უარ-  
 ყოფა, რადგან ჩვენისაკითხის იურიდიული ძალა აქ უცხო-  
 თში ამ მთავრობის არსებობაშიც გამოიხატება.

ჩვენ გამოვსთქვამთ რწმენას, რომ დღეს აქ საძირკველი  
 ჩაეყრება დიდ ეროვნულ საქმეს. ხოლო აუცილებელ საჭი-  
 როდ მიგვაჩნია საერთო ენა გამოვნახოთ იმათან ვინც აქ  
 დღეს გვაკლია და აქ არიან, რათა შეერთებული ძალებით,  
 ყველამ ერთად განვაგრძოთ ჩვენი ეროვნული მოვალეობის  
 შესრულება.

გ. წერვთელი (ახალი ემიგრანტი). მე არ მინდა კრიტიკა  
 გაუწიო ხელმძღვანელობას, მწამს რომ ის წაიყვანს საქმეს.  
 არ მომწონს მხოლოდ ურთიერთ შორის დამოკიდებულება,  
 ემიგრაციის ორათ გაყოფა. უნდა დავავალოთ იმ კომისიას,  
 რომელსაც ავირჩევთ, მიიღოს ზომები ემიგრაციის გასაერ-  
 თოანებლათ.

რ. არსენიძე. აქ ზოგიერთები წინააღმდეგია პარტიების  
 და უნდათ მისი დაშლა. მაგრამ ავიწყდებათ—პარტიაა რომ  
 ამუშავებს აზრს და შეხედულებებს და ცხოვრებაშიაც ის  
 ატარებს. პარტიები რომ არ ყოფილიყო ჩვენ ვერ შევსძლებ-  
 დით დამოუკიდებლობის გატარებას ისე უძრავნელოთ და  
 ისე მწყობრათ. დღეს ბატონებო, მთელი განათლებული კა-  
 ცობრიობა დაუპირდაპირდა საბჭოთა რეების. ეს რეები  
 უნდა დაეცეს, მაგრამ მისი დაცვა მარტო ჩვენ ხომ არ შე-  
 გვიძლია, ამიტომ უნდა დაუკავშირდეთ ყველა იმათ, ვინც  
 იბრძვის ამისთვის და უნდა დაუკავშირდეთ არა ჩვენი პოზი-  
 ციის დათმობით რასაკვირველია. ჩვენი ძალა ჩვენს ეროვნულ  
 მორალშია, სხვებიც ამას უწევენ ანგარიშს და ჩვენ უზევეათ  
 უნდა განვაგრძოთ ამ გზაზე სიარული ერთად და ხელის-ხელ  
 ჩავიდებით. ჩვენ შევეცადეთ, რომ დღეს აქ მოსულიყნენ  
 ისინიც, ვინც არ არიან, მაგრამ იმათ გვიპასუხეს იმ ფურც-  
 ლით, რომლის კვალიფიკაცია მე არ მინდა აქ მოვახდინო.  
 მე მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ ისინი ადრე თუ გვიან ჩვენ  
 შემოგვიერთდებიან.



მაგრამ ერთობა რომ კარგი საქმეა ყველამ ვიცით. მაგრამ ერთობა ურთიერთ დაპირდაპირებისათვის მე არ მიმართია სასახელმისათვის და ასეთი გაერთიანების წინააღმდეგი ვარ. ყოველ შემთხვევაში იმ ფურცელზე ხელის მომწერლებთან, სანამ ისინი უკან არ წაილებენ საჯაროთ მათ მიერ სრულიად უსაფუძღლოთ წამოსოოლილ ბრალდებეს—რაიმე მოლაპარაკება დაუშვებელია.

მ. გვივაჩავთვილი. მე ვარ ეროვ.—დემ. პარტიის წევრი და მოვედი აქ რომ გავიგონ ნამდევილი მისები შეუთანხმებლობისა. ის რაც იქ მითხოვს მე არ მაკმაყოფილებს. იქნებ აქ გავიგონ სინამდევილე. რაც შეეხება რ. გაბაშვილის და ზურაბიშვილის გამოცემულ ფურცელს, მე, რასაკვირველია, მას არ ვიზიარებ.

საერთო კამათში შეეითხვების თუ წინადადადებების შემოტანით მონაწილეობა მიიღეს ი. კემულარიამ, გ. კერესელიძემ, ვ. ლამაძემ, ალ. ჯაფარიძემ, მ. მგელაძემ და შ. აბდუშელიძემ. კამათო დასრულდა ძალიან გვიან რის შემდეგ მოედა საორგანიზაციო კომისიის წევრთა არჩევნები. არჩეული აზიან: რ. ახსენიძე, გრ. ურატაძე, დ. სხირტლაძე, ნ. ურუშაძე, აკ. გამსახურლია, მ. გოგორიშვილი და გ. წერეთელი (ახალი ემიგრანტი).

პარასკევის, 14 სექტემბერს მოხდა არჩეული კომისიის სტდომა. რომელმაც განიხილა გრ. ურატაძის მიერ წარმოდგენილი საბჭოს დებულების პროექტი და მიიღო კილც მცირედის შესწორებით, მოახდინა აზრთა გაცელა-გამოცვლა საბჭოს წევრთა საერთო რიცხვისა და მათი პარტიითა შორის განაწილების შესახებ, დაადგინა რომ საბჭოს წევრთა საერთო რიცხვით დაეთმოს განსაზღვრული რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ქართველ კოლონიებს და დაავალა თავის სამ წევრს გამართოს მოლაპარაკება მიღებულ დებულებების საფუძველზე გამდგარ ჯგუფთან და ერთი კვირის განმავლობაში გამოარყენო—სურთ თუ არა მათ მონაწილეობის მილება საერთო მუშაობაში.

21 სექტემბერს შესდგა კომისიის მეორე სტდომა. მოისმინა მოხსენება გამდგარ ჯგუფთან მოლაპარაკების შესახებ, და იქონია მსჯელობა მომავალ საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის შესახებ, განსაზღვრა ის 50-ით და გაანაწილა რაგორც სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ კოლონიებთა ისე პარტიებთა შორის გამდგარ ჯგუფისთვის შესაფერი რაოდენობის დატოვებით; დაავალა პარტიითა და ჯგუფთა წარმომადგენლებს მოკლე დროში წარმოადგინონ სია იმ პირთა, რომელნიც იქნებიან მათი მშრიოთ საბჭოს წევრათ და ბოოოს დაინიშნა საბჭოს შეკრების დღეთ 7 ოქტომბერი.

იყო.



## ლ უ 0 დ ე ბ რ უ კ ე რ ი.

ამა წლის 4 ივნისს ქალაქ ბრიუსელში გარდაიცვალა ბელგიის მუშათა პარტიის ლიდერი და საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე—ლუი დებრუკერი. გასულ წელს მას 80 წელი შეუსრულდა, ის უთურდ დიდი ბელგიელი იყო, სამართლიანად სარგებლობდა უსრმესი პატივისცემით და მას ღიადად აფასებდენ არა მხოლოდ ბელგიის მუშათა წრეებში, არამედ მთელი ერის ყველა სხვა ფენებშიდაც.

დებრუკერი მუშათა პარტიაში ამ ჟკანასკნელის გარეშე წრიდან მოვიდა, ეს განსაციფრებელი ცოდნის და განათლების მქონე ინტელიგენტი, პროფესორი არ ყოფდა აღამიანს მოქალაქისაგან და, თუ ის იცავდა მუშათა კლასს, მას არ უნდოდა, ის არ ცდილობდა ერთი კლასის ბატონობა მეორე კლასის ბატონობით შეეცვალა, არამედ მისი მიზანი იყო ყველა ადამიანი მორალურ და მატერიალურ ლირსებამდე აეყვანა.

ლუი დებრუკერი იყო წყნარი, თავდაჭერილი, თავდაბალი და სათნოანი აღამიანი, რომლის მთელი ცხოვრება ამავე ღროს იყო სავსე ახალგაზდური აღგრძნებით, ენთუზიაზმით, გაბედულობით, სულგრძელებით და ბრძოლის უნარით. ის მის მრავალწლოვან მოღვაწეობის ხანაში არა ერთჯერ ყოფილა დიდი დაბრკოლებების და სიძნელეთა წინაშე, უნახავს არა ერთი და ორი გამარჯვებაც და ხელახლად მომხდარა რთულ სიძნელეთა ქსელში, მაგრამ მას არასოდეს იმედი არ დაუკარგავს, ის ყოველივე აბარკოლება-სიძნელესაგან გამოსავალს ექვება, ყოველთვის გამარჯვებისათვის ემზადებოდა. მუდმივი მატრიმინი და მომავლისაკენ სრული ჩემენით ცქერა—აი ლუი დებრუკერის პიროვნების საუკეთესო დახასიათება.

ნათვამია, პატარა ქვეყანაში დიდი პიროვნება შესაფერისად ვერ მოხსნას, დიდი ქვეყანა კი პატარა კაციაც დიდად აქცევსო. დებრუკერი დიდი პიროვნება იყო არა თუ მის პატარა ქვეყანაში და ნაციონალურ ასპარეზზე, არამედ ის მეტად იმპოზანტური იყო მისი ცოდნა-გამოცდილებით და უდავო პრესტიჟით ინტერნაციონალური მაშტაბითაც.

მრავალი წლების განმავლობაში დებრუკერი თავმჯდომარეობდა და ხელმძღვანელობდა სოც. ინტერნაციონალს, სადაც წარმოგზავნილი იყვნენ, როგორც დიდი, ისე პატარა ქვეყნების წარმომადგენელნი. ყველა ამათ შორის მას განსაკუთრებული თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და მის ავტორი-

ტეტს და შეთაურობას ყველა ცნობდა. იგივე იყო ყველა სხვა საერთაშორისო ყრილობებზე, სადაც კი დებრუქერი დაესწრებოდა.

ეს დიდი ბელგიელი, დიდი სოციალისტი და დიდი ინტერნაციონალისტი მუდამ იყო ჩაგრულ ერთა დიდი მოსარჩევე და დამხმარე. ქართველებმა ეს კარგიდ ვიცით ჩვენი მაგალითით.

1920 წლის შემოდგომაზე ინტერნაციონალის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად დებრუქერი საქართველოს ეწევია. მათ შორის მან იქ ყველაზე მეტი დრო დაჭყო. სერიოზულად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და გაეცნო ჩვენი პარტიის თუ მეზობლების ურთიერთშორის დამოკიდებულებას. უკან დაბრუქებისას კი გამოღირდა პრესაში; თუ საჯარო კრებებზე და გულმოლდგინეთ იცავდა და მოითხოვდა საქართველოს ოფიციალურად ცნობას. და ჩვენი ქვეყნის ასეთნაირ ცნობაში მას დიდი როლი აქვს ნათამაში.

როცა 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან ხელშეკრულება და რუსის ჯარები შემოუსია მას, დებრუქერმა ვანდერველდესთან და გიუსმათა კლასი მშარს უჭერდა, ბოლშევკიური იმპერიალიზმის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი განაცხადეს და საქართველოდან წითელი ჯარების გაყვანას მოითხოვდენ.

1922 წელს საქართველოს დასაცავად დებრუქერმა საკითხი დააყენა აგრეთვე ერთა ლიგაში, რომელმაც ერთხმაო გამოიტანა საქართველოსადმი თანაგრძნობის დაღვენილება.

1924 წელს, როცა ქართველი ხალხი ჩვენში უცხო ჩალების ბართონბას აუჯანცდა, ბოლშევკიუბმა ეს აჯანცდა მხეცური ტერორით სისხლში ჩაახრჩეს. ასეთნაირ სიმხეცემ მთელი ქვეყანა აღაშფოთა. დებრუქერი საქართველოს საკითხების შესახებ კიდევ ერთჯერ გამოიდა ერთა ლიგაში. ჩვენ ვიცით, რომ ერთა ლიგამ 1924 წლის 25 სექტემბერს ტანჯულ საქართველოს თანაგრძნობა გამოიუწადა და 1922 წლის მისი დადგენილება დაადასტურა.

1930 წელს ბერლინში სოც. ინტერნაციონალს მსჯელობა პქნიდა «აღმოსავლეთ ეერთობაში მისი საშიშროების» შესახებ, აქევე იყო დიდი დავა ეროვნული პრობლემის გამო, სადაც რუსი სოციალისტები და ზოგი ბოლშევკიზანები სახტიყად იღავინებდნენ როგორც ქართველების, ისე საბჭოთა კავშირში მომწყველეულ სხვა ერთა თეითგამორკვევის წინააღმდეგ. აქცეც დებრუქერმა გამოიჩნა ჩვენდამი დიდი თანაგრძნობა და მისი მთავარი მონაწილეობით იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუციია: «მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი დღესაც ისე, როგორც წარსულში, იბრძების საბჭოთა კავშირში ამ ქამთ გერთიანებულ ყველა ერების თეითგამორკვევის განუსაზღვრელ უფლებისათვის. მუშათა ინტერ-

ნაციონალი ფიქრობს, რომ თვითონეულ ამ ერთაგანმა მხრ-  
ლოდ თვითონ უნდა გადასწყვიტოს, რა უფრო უზრუნველ-  
ყოფს მის ეროვნულ თავისუფლებას, დამოუკიდებელი ეროვ-  
ნული სახელმწიფო, თუ ფედერალულ რესპუბლიკის ფარ-  
გლებში დარჩენა».

ბელგიის დებრუქერს, შვილს პატარა ერისა, რომელ-  
მაც წარსულში არა ერთჯერ განიცადა აგრესია და ოკუპაცია,  
კარგად ჰქონდა შეგნებული და ესმოდა ტანჯვა და დამონა-  
ვება სხვა პატარა ერისა.

დაუფასებელია დებრუქერის ის გულწრფელი მეგობრუ-  
ლი და ადამიანური დამოკიდებულება, რომელსაც ის ქართ-  
ველებისადმი იჩენდა მისი მოღვაწეობის შრავალწლოვან შან-  
ძილზე. ქართველები მას ამას არასოდეს დაუვიწყებენ და შისი  
კეთილი სსოფა შათში სამუდამო დარჩება.

ბ. ბ.

P. S. ლუი დებრუქერის გარდაცვალების გამო ბელგიის  
მუშათა პარტიას სამიმრის დეპეშა გაეგზავნა საქ. სოც.-დემ.  
პარტიის სახელით; საქართველოს ეროვნული მთავრობის  
მიერ კი დებრუქერის ცხედარი შემკულ იქნა გვირგვინით—  
წარწერით: «ლუი დებრუქერს—მაღლიერი საქართველო».

### გ ი რ ჩ ი ა შ რ უ ლ ი.

პარიზში, ლრმა მოხუცებულებაში, გარდაცვალა და  
სოც. ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, 12 სექტემბერს, და-  
კრძალული იქმნა გორგი უზრული.

ამ სახელს კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება, გან-  
სვენებულის ნაყოფიერ მოღვაწეობის გამო საზოგადოებრივი  
საქმიანობის ასპარეზზე.

გ. უზრულს, ალჭურვილს ფართო რუსულ და ევროპიულ  
განათლებით, თბილისის მაღალ საზოგადოებაში კარგად მი-  
ღებულს, ბრწყინვალე კარიერა მოელოდა თავის დროზე რუ-  
სის სახელმწიფო სამსახურში; მაგრამ ჩინოვნიკის ნივთიერად  
უზრუნველყოფილს და დამშვიდებულ ცხოვრებას, მან ამჯო-  
ბინა ქართველ საზოგადო მოღვაწის კლიინი გზა და მოუსვე-  
ნარი ცხოვრება. მან თავის სამოღვაწო ასპარეზზდ ქალაქის  
თვითმართველობა აირჩია და ჯერ ბათომის და შემდეგ თბი-  
ლისის თვითმართველობის სამსახურში გაატარა უმთავრესი  
ხანა თავისი ცხოვრების. მძიმე იყო ამ ასპარეზზე მუშაობა,  
რადგან, ერთი შერით, ცენტრიანი და მრავალ-ერიანი ქალაქის  
საბჭო, სადაც—სწორეთ იმ ქალაქებში, განსვენებული რომ  
მოღვაწეობდა—ქართველთა წარმომადგენლობა უფრო ხში-  
რად უმცირესობაში იყო და, მეორე შერით, აღმინისტრაცი-  
ის სასტიკი ზედამხედველობა ბორკვდა იმ ნასახს თვითმო-  
ქმედებისას, ქალაქებს რომ ფორმალურათ ჰქონდა მინიჭებუ-

ლი. შეოლოდ საქმის დიდი ცოდნით, შრომის დიდ უნარით; ზეობრივ სისპერაცით და უდიდეს ტაქტით, განსცენებულ გიორგის რომ ახასიათებდენ, შეეძლო მას ქალაქის წარმომადგენლის ადგილზე იმდენას დარჩენილიყო, რომ თავისი შემოძებელ საქმიანობის კვალი იქ დაეტოვებია. როგორც ბათომში, ისე თბილისში მან ამას მიაღწია და არამცულ კავკასიის, არამედ მთელი რუსეთის მასშტაბით მან საუკეთესო, პროგრესიულ მუნიციპალურ მოღვაწის სახელი დაიმსახურა.

ამიტომ, როცა რევოლუციის შემდეგ თბილისს საბჭოში ცენზიანი წარმომადგენლები რევოლუციონურ პარტიის წარმომადგენლებმა შესცვალეს, გ. უურული უდავოთ თვითმართველობის უმნიშვნელოვანების, საფინანსო კომისიის ხელმძღვანელათ და თავმჯდომარეთ აირჩიეს. ასე დიდი იყო მისი პრესტიჟი, როგორც მუნიციპალურ მოღვაწის.

საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადეს, გ. უურულმა აქაც ამჯობინა დაწყნარებულ ცხოვრებას და უპასუხისმგებლო კრიტიკისის ოოლში დარჩენას, მეტად მძიმე მოვალეობის ხელში აღება, ქვეყნის მეტად საპასუხისვებო და უმაღლეს სამსახურის სათავეში ჩადგომა: განსცენებული იყო დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. საპარლამენტო წრეებში, კოალიციონურ მთავრობაში, მეზობლებთან და უცხოელებთან მოლაპარაკებაში, თავის გამოცდილებით და უდიდეს ლოიალობით იგი მუდამ საყოველთაო ნდობას და პატივისცემას იმსახურებდა.

დამუ. კრების მოწვევის შემდეგ გ. უურული ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელობდა; აյ მოუსწრო მას იკუპაციამ და იკუპანტებმა მოინდომეს მისი ცოდნის და გამოცდილების ამ საქმეში გამოყენება; მაგრამ განსცენებულმა ახლაც ნივთიერად უზრუნველყოფილ ადგილზე ხელი აიღო, უცხოელში დარჩა და ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციის მწარე ხედირი გაიზიარა...

ჩენენ, მთელ ქართველ საზოგადოებასთან ერთად, ღრმა პატივისცემით მოვიგონებთ გიორგი უურულს, როგორც დიდს კულტურულ ქართველს, ლოიალურ პოლიტიკურ მოღვაწეს და თანამებრძოლს საქართველოს უდიდეს საპასუხისმგებო ხანაში.

### პარლია ჩხეიძის პანაშვიდი.

როგორც ყოველ წელს, კარლო ჩხეიძის გარდაცვალების წლის თავზე, კარლოს საფლავზე თავი მოიყარა ქართველმა საზოგადოებამ. სიტყვები წარმოსთქვეს: ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ შ. აბდუშელმა, ლ. ულენტმა და კ. გამსახურდიამ.

## გელიტონ ჩუხი.

გასულ თვეში ლევილის სასაფლაოს მივაბარეთ ამს. მელიტონ რუსის ცხედარი. მელიტონი იყო გურიიდან, სოფ-ლაბერიშვილია. ის დაიბადა იმ დროს, როცა გურიაში სწავლა-განათლებისადმი ლტოლვა მეტად გაძლიერებული იყო და ყველა ოჯახის ნატრია იყო ნაწიავლი შვილი ყოლოდა. მარა მელიტონი იყო მეტად ღარიბი ოჯახის შვილი და სწავლა-განათლების მისაღებათ ოჯახის იმედი აზ უნდა ქონდა. ამიტომ იყო რომ სამოქალაქო სასწავლებელის გათავების შემდეგ კერძო გაკვეთილებს აძლევდა და იმავე დროს თვი-თონაც ემხადებოდა რომელიმე საშუალო სასწავლებელში შესვლისათვის და ეს კიდევაც შესძლო. მის სიყრმის ამს. ჩხაიძესთან ერთად მოხერხა შესვლა საშუალო სამეურნეო სასწავლებელში. მარა სამეურნეო სასწავლებელში ვერ მოუ-კლა წყურვილი უმაღლესი სწავლა-განათლების მიღების, ამიტომ მან დასტოვა ის, დაიწყო ისევ კერძო გაკვეთილებით ცხოვრება და თან მხადება საუნივერსიტეტო მოწმობის («ატეს. ზრელ.») მისაღებათ. მიიღო კიდეც ასეთი მოწმობა და შევიდა ხარკვივის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულ-ტეტშე. იმ დროს ქართველი სტუდენტობის ცხოვრება საერ-თოდ მეტად მძიმე იყო საყოველთაო სიღარიბის გამო და აღ-ვილი წარმოსადგენია რა იქნებოდა ისხით ოჯახის შვილისა-თვის, როგორიც იყო მელიტონი. მარა მისმა ენერგიამ და მონდომებამ სძლია ყოველგვარი დაბრკოლება და ბრწყინვა-ლეთ დაათვა უნივერსიტეტი და გახდა იურისტი. მარა სა-სამართლოში გამოსვლას ის არჩევდა სამსახურს საზოგადოე-ბრივ ხასიათის დაწესებულებებში როგორიც იყო ქალაქის თვითმართველობა, საერობო წამოწევება და სხ. დამოუკიდე-ბლობის დროს ის იყო ქალაქთა და ერობათა კავშირის გამ-გების წევრი და იმავე დროს დამფუ. კრების წევრი.

სოც.-დემ. პარტიის მუშაობაში ის ჩაება ჯერ კიდევ მა-შინ, როცა მომუშავე პირთა რაოდენობა თითხე ჩამოსათვლე-ლი იყო და ამ დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მი-სთვის მომუშავე და მისი ერდგული დარჩა. ემიგრაციაში ის თავის ირჩენდა საკუთარი შრომით და შეძლებისა და გვარათ სხვასაც უწევდა მეგობრულ დახმარებას. ემიგრაციის მძიმე პირობებმა და მით გამოწვეულმა ზედმეტმა მუშაობამ, უკ-ველია, გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე და დააჩქარა მისი ამ ქვეყნიდან გამგზავრება.

ბეჭმა შორს გაუთხარა ამს. მელიტონს სამარე, მარა მისი სამშობლო, მისი ამხანაგები და მეგობრები სამუდამო საფლავს თავის გულში მიუჩენენ მას და არას დროს მას არ დაივიწყებენ...

გრ. ურატამე.

მ. 33666 დაბაზის

გასული აგვისტოს შუა რიცხვებში მის ქალიშვილთან სტუმრობის დროს შოტლანდიაში (ინგლისი) გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე—ვახტანგ ლაშჩაშიძე.

ვახტანგი უკვე მისი სტულენტობის ხანაში იღებდა მონაწილეობას ყყელა იმ წერებში და წამოწყებებში, სადაც კი ქართველების დასახმარებლად, თუ საერთოდ ქართველების საკეთილდღეოთ კითხვა დაისმებოდა.

უმალესი სწავლის დამთავრების და სამუშაობლში ექიმათ დაბრუნების შემდეგ კი ვახტანგ ლაშჩაშიძეს შევიდრი კავშირი ქონდა ბევრ ქართულ კულტურულ დაწესებულებასთან და ზოგ მათგანში მეტად აქტიურ როლსაც თამაშობდა.

ვახტანგი საზოგადო მოღვაწე იყო აგრძელებულ ექიმი. ის მის ექიმობას არ უყურებდა, როგორც მისი კერძო შემოსავლის წყაროს, რომლითაც მას თავი უნდა ერჩინა, არამედ მისი ექიმობა იყო პროფესია, რომლითაც ის ქართველ საზოგადოებას ემარჯებოდა.

მან საქართველოში პირველმა დაარსა პატარა ცემში სუსტ ბავშვთა დასახმარებლად სენატორიუმი, სადაც ქართველთა ბევრი შვილები გამომჯანთელებულან და ჯანსალი მოქალაქენი გამზღარან. აյ ბშირად პატიურებდა ვახტანგი სრულიად დაუინტერესებობლად, ცნობილ ქართველ მწერლებს და მოღვაწეებს დასასვენებლად თუ მათი ავათმყოფობიდან განსაკურნებლათ.

ვახტანგ ლაშჩაშიძეს დიდი დვაწლი მიუძღვის საქართველოში ქართველ ექიმთა საზოგადოებაში თავისი შესაბით და მედიკურ ქართულ თერმინოლოგიის შემუშავებით და გამდიდრებით.

ემიგრაციაშიდაც ვახტანგი იყო მეტად აქტიური და დაუღალევი. ის დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ქართველ სათვისტომოს, სადაც მას შექქონდა თავისი სიტკბოება და სიმშვიდე. მაგრამ რაც ყველაზე უფრო დაუფასებელია ქართველობისათვის, არის ის, რომ პარიზში არ დაწენილა არცერთი ოჯახი, რომლისათვის ვახტანგ ლაშჩაშიძეს უდიდესი სამსახური არ გაეწიოს და ბევრი ქართველი სიკედილისაგან არ გადაერჩინოს და მათვის ჯანმრთელობა არ აღედგინას. და ყველაფერ ამას ის, თვითონ მატერიალურად ხელმოკლე, შვებოდა კეთილი გულით და უანგაროთ.

ქართველობაც არასოდეს არ დაივიწყებს მის ქარგ გულს და კეთილ ადამიანობას.

მ. სურვიძისა და ბ. სახელაშვილის გარდაცვალება.

ა ახლო ხანებში ქალ. ლონგში (ავსტრია) იროვ ჭლევი-  
ანთა სანატორიუმში გარდაიცვალა ორი ახალგაზძე ქართვე-  
ლი ტყვე: მიხეილ (მიშა) ხურციძე,—მედიცინის სტუდენტი  
ქუთაისიდან და ბენია ილარიონის ძე სახელაშვილი, სოჭ-  
სვავა,—ჩხარის რაიონი. განსვენებული დავათმყოფლენ  
ბრძოლის ველზე. სამშობლოში,—მონურ არსებობაში და-  
ბრუნებას, უცხო, მაგრამ თავისუფალ ქვეყანაში გაციირებუ-  
ლი სიცოცხლე ამჯობინეს. მიუხედავათ უდიდესი ცდებისა  
მათი გადაიჩენა არ მოხერხდა და უმოწყალ სენმა უღროოთ  
შეიწირა ეს ახალგაზდები. ორივენი განისვენებენ ლინცის  
სასაფლაოზე.

δε τοῦ θεοῦ.

Д о с т ъ я б о.

ჩვენი თანამეგმამულის მინდია ლაშაურის ურცელი წერილი: «26 მაისი—საქართველოს ნაციონალური თავისუფლების ტრიუმფი» დაიბეჭდა უკრაინულ დიდ განხევთ «უკრაინსკი ვისმი». მი. რეადეკუატ წერილს შემდეგი ანშლაგი წარუშმდვარა: «რაინდულს და თავისუფლების მოყვარულს ქართველ ერს, მისი დამოუკიდებლობის წლის თავზე—ძმური უკრაინული სალაში!»

ივნისის 3, მიუწვდომელი შესდგა რუსეთის მიერ დაცყოლილ  
ერების წარმომადგენლოდა კრება, სადაც ცავსწრო 1.500 კაცი.  
ამ კრებას თავმჯდომარეობდა ჩევნი თანამემამულე პ. ნიკო-  
ნაკაშიძე. რომელმაც გერმანულ ენაზე მხურვალე სიტყვით  
მიმართა საზოგადოებას. მისი სიტყვა დაფარული იყო მხურ-  
ვალე ტაშის ცემით და ვაშის შეძახილით.

მიმდინარე წლის 18 აგვისტოს შესდგა მიუნხენის კოლონიის წევრთა კრება, სადაც მოსმენილ იქნა გრცელი მოხსენება: «საქართველოს სახელმწიფოს გაუქმების 150 წლის თავზე-ამის გარშემო 3 სექტემბერს მიუნხენის რაიონში გადასცა გე-რმანულ ენაზე ალ. კორძაიას მიერ წარმოთქმული სიტყვა-

2 სექტემბერს ბერძნენთა კლესიაში გადასტოილ იქნა პან-შვილი ავტოსტოს აჯანყებაში დაუპულთა მოსახლეობლა-

მიუნხენიდან გვთხვავთ დავბუჭოთ შემდეგი.

ქართულმა კოლონიამ გერმანიაში თავის საერთო კრებაზე 18 აგვისტოს 1951 წ. მიუნიცენში მიიღო ერთხმად შემდეგი დადგენილება: «ქართულმა საზოგადოებამ თავის მოვალეობად ჩასთვალი ქართველობის ღირსების დასაცავად, გამოსთვას თავის აზრი იმ წერილების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო ბუნიოს-აირესში გამოცემულ უფრნალ „მამული“-ს მეორე ნომერში „პ. პარიზელი“-ს და „კაზაბერი“ ს ფსევდონიმებით. ამწერილში ფსევდონიმებს ლატერულად ამფარებულ ავტორების მიერ გავრცელებული პროვენატორული კორეპი იწვევენ საზოგადოების აღშფოთებას. მთელი პასუხისმგებლობა ამ ულირის საქციელისათვის აწევდა უუნალის რედაქციას და მის გამომცემელთ. ასეთი მოქმედებით მათ არა თუ დაარღვევს და უარყვეს ელემენტარული მოთხოვნილებანი პრესის ეთიკისა, არამედ შელახეს და შეურაცყვეს ქართული საზოგადოებრივი თავმოვარეობა და ღირსება. ქართული კოლონია გერმანიაში გმობს სასტიკად ასეთს ზეობრივად დაუშვებელ მეთოდს რაღაც ქვენა ანგარიშების გასწორებისა და მოუწოდებს მთელ ქართველობას უცხოეთში დაგმოს ეს ქართველობის ღირსებისათვის დამატირებელი საქციელი. ეს დადგენილება გაეგზავნოს ქართულ პრესის ყველა გამოცემათ გამოსაქვიყნებლად».

ଶବ୍ଦାଳ୍ପିକ ଲୋକାବ୍ୟବେ ମହାରାଜ.

ଅଗ୍ରାତ ପାଠିବୁବେଳାଙ୍କ ହେଲାକ୍ଷେତ୍ରଙ୍କ!

აძავე დღოს გსარებლობ შემთხვევით განვაცხადო, რომ  
მე არ ვიტოცხები რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში.

ପାର୍ଶ୍ଵିକୀସ୍ପ୍ରେମିତ ଶୈତା କ୍ଷେତ୍ରବୋକ୍ଷିଦ୍ଧ.

დახმარება „ჩვენი დოკუმენტის“-ს.

მივიღეთ ავსტრიიდან ამბ. ერ. რამიშვილისგან 3 დოლარი. ამერიკიდან: 3. კვარაცხელიასგან 2 და კვირკველიასგან 5 დ. ვენეციულადგან ჩვენი შეფაბრიდან—10 დოლარი.

ପ୍ରାଣୀଙ୍କ ଶୁଦ୍ଧିଗ୍ରହଣକାରୀ—୨ ଅତ୍ସବି ଫ୍ରାଙ୍କାର୍ଡ.

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonnaise. Arpajon.